


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინც ბეჭდ-  
უჭი სიფყვას, ცყდილებით და ჭბებით ბუბ-  
თის გატანა ყველა უჯანდისბზაჟ უსამბაგლუსია.

სამშაბათი, 3 ოქტომბერი. 2017 წ. №201-202 (8338-8339), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

## ისევ ომი ხელისუფლებაში მოსასვლელად!

პირდაპირ საკვირ-  
ველია, რომ ექსპრემი-  
ერის ბიძინა ივანიშვი-  
ლის ან მერიის პრეს-  
სამსახური საგანგებო  
განცხადებით საკად-  
რის პასუხს არ აძლევს  
აღვირახსნილ ნაციო-  
ნალთა მხრიდან იმ წი-  
ნასაარჩევნოდ გამიზ-

ნულ მონაჭორს, რომ  
თითქოს „ოცნების“  
ხელისუფლება ერთ  
ლარად გადასცემს სა-  
კუთრებაში ყოფილ  
პრემიერს თბილისის  
ცენტრში პუშკინის  
სკვერის და თაბორის  
მთის გარკვეულ ფარ-  
თობებს. არადა, ეს ყვე-

ლაფერი თვითონ ჩვე-  
ნი დედაქალაქის უკე-  
თესი ხვალინდელი  
დღისთვის კეთდება.

ის, რაც გუშინ ახა-  
ლმა და ძველმა ნაძირა-  
ლა ნაციონალებმა მე-  
რიის წინ ჩაიდინეს, ყო-  
ველგვარ უტიფრობა-  
სა და გათავხედებას  
აჭარბებს. თვითონ მო-  
ძალადეები ხელისუფ-  
ლების ძალადობაზე  
ბოდავენ იმის იმედით,  
რომ ისევ და ისევ გუ-  
ლუბრყვილო ამომრჩე-  
ველს მოატყუებენ და  
თავიანთ სასარგებ-  
ლოდ განაწყობენ 21  
ოქტომბრის არჩევნე-  
ბისთვის.

ხალხო, გუშინ ნაცი-  
ონალებმა კიდევ ერთ-  
ხელ გვიჩვენეს თავიან-  
თი ანტიეროვნული,  
აშკარად ფაშისტური



**ეს დემოკრატია  
ალარ არის!..**



სახე. ასე რომ, თავად-  
ვე გაიშიფრნენ და არა-  
ვითარ ბოროტებას არ  
ერიდებიან, ოღონდაც  
ძალაუფლება ჩაიგდონ  
ხელში. ძალაუფლების  
მქონე ნაციონალები კი  
რანი არიან, ჩვენ უკვე  
ვნახეთ და საკუთარ  
ტყავზე ვინწინეთ თით-  
ქმის ათი წელიწადი.  
იმედია, გუშინდელი  
პოლიტიკური პროვო-  
კაციის თავკაცნი კანო-

ნის მთელი სიმკაცრით  
აგებენ პასუხს.

როდემდე შეიძლე-  
ბა ასე თავზე ხელაღე-  
ბულად ითარეშონ  
ჩვენს დედაქალაქში  
აშკარად ბოროტმა  
აღამიანებმა.

ეს დემოკრატია  
ალარ არის. ეს უკვე  
ომია ხელისუფლება-  
ში მოსასვლელად, რა-  
საც დროზე უნდა და-  
ესვას წერტილი!..

ნუგზარ ფოფხაძე:

**ასლა... ერდოღანის!!!**

„ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის საღმე პრი“?!



3

**პეტრე დიდი -  
ბაბრატონთა  
უთამოგაპალი?**



**ვინ იყვნენ  
პირველი ქართველი  
დასავლეთოპროკალები?**

6  
7

ვაჟა ბერიძე:

**რა ღბას  
სარიელი  
სიბჟუპუბის  
მიღმა? 4**

ბრანი ქავთარია:

**მნგრეველები  
და მათი 5  
მეპკვიდრანი  
ბანათლება გუჟინ, დღეს...**

იური რუმსი:

**საქართველო 8  
ქვეყნის  
ტერიტორიული  
მთლიანობის  
აღდგენისთვის  
ნიადაგს ამზადებს**

# პრემიერ-მინისტრი EIB-ის ვიცე- პრეზიდენტს უხვდა

საპარტიზო საინვესტიციო გარემო, ქვეყანაში განხორციელებული სტრუქტურული რეფორმები და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) დაფინანსებით მიმდინარე პროექტები იყო მთავარი თემები საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანიშვილისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ვაზილ ჰუდაკის შეხვედრაზე, რომელიც გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

საუბრისას, ხაზი გაესვა EIB-თან წარმატებულ თანამშრომლობას, ბანკის ჩართულობის გაზრდას კერძო სექტორში მიმდინარე ოპერაციებში, ასევე საფინანსო ინსტიტუტის მხარდაჭერას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით, რაც, პრემიერის განცხადებით, მთავრობისთვის პრიორიტეტულია.

განსაკუთრებით აღინიშნა EIB-ის ძალისხმევა საქართველოში ინოვაციების მხარდაჭერის მიმართულებით და პროგრამა – InnovFin, რომელიც ინოვაციურ კომპანიებს ხელსაყრელი პირობებით დაფინანსების მიღების შესაძლებლობას აძლევს.

შეხვედრაზე, ყურადღება დაეთმო ქვეყნის მაკრო-



ეკონომიკურ მაჩვენებლებს, ფისკალურ და სტრუქტურულ რეფორმებს, ლარიზაციის სტრატეგიას, ასევე საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის წამყვან პოზიციებს. მთავრობის მეთაურმა დეტალურად ისაუბრა ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმაზე, რომელიც საგადასახადო და საგადასახადო ადმინისტრირების რეფორმას, მენარმეობის განვითარების ხელშეწყობას; მართვაში გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის გაზრდას; ქვეყნის ინფრასტრუქტურის – სატრანსპორტო-ლოგისტიკური კვანძების განვითარებას და გა-

ნათლების სისტემის რეფორმას მოიცავს. პრემიერ-მინისტრმა EIB-ის ვიცე-პრეზიდენტს ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების ფინანსური მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

ევროპის საინვესტიციო ბანკის შეღავათიანი ფინანსური რესურსით საჯარო სექტორში დაფინანსებული დაახლოებით 1,33 მილიარდ ევროს ღირებულების საინვესტიციო პროექტები, ხოლო კერძო სექტორში მიმდინარე პროექტებისთვის ბანკს გამოყოფილი აქვს 209 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური რესურსი.

# იუსტიციის მინისტრი სხვაობას კიდევ ერთხელ განმარტავს



ორი ძირითადი მიზეზი:

1. საქართველოს სამოქალაქო რეესტრის ბაზებში ირიცხებიან არა მხოლოდ ის მოქალაქეები, რომლებიც ფიზიკურად ცხოვრობენ საქართველოში, არამედ ისინიც, ვინც მის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ, არიან სრულწლოვნები და აქვთ საქართველოს მოქალაქეობა;

2. საქართველოს სამოქალაქო რეესტრის ბაზებში ირიცხებიან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და სამაჩაბლოში – მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები.

„მოქალაქეთა ერთიან ბაზაში შესულია ყველა ჩვენი მოქალაქე, რომლებიც ცხოვრობენ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. მე არ მეგულება ამ ქვეყანაში მთავრობა, რომელიც მათ საქართველოს მოქალაქეთა ბაზიდან ამოირიცხავს. ჩვენს ბაზებში ირიცხება, ასევე, საქართველოს ყველა მოქალაქე, ვინც ცხოვრობს უცხოეთში. სტატისტიკის ეროვ-

ნულმა სამსახურმა კი აღწერა მხოლოდ ის ადამიანები, ვინც აღწერის მომენტში იმყოფებოდა საქართველოში. აღწერა არ შეუძლია ოკუპირებულ ტერიტორიებს, ვერ აღწერა მთლიანად უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე. შესაბამისად, განსხვავება საქართველოს მოქალაქეთა ბაზასა, რომელსაც ფლობს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და აღწერის მონაცემებს შორის არის სრულიად ბუნებრივი და ეს ასეც უნდა იყოს“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის გადაცემულ სიაში 3,49 მილიონი პოტენციური ამომრჩეველია. ამ სიაში შედიან როგორც საქართველოში (მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე) მცხოვრები, ისე საზღვარგარეთ საცხოვრებლად წასული სრულწლოვანი პირები. პოტენციური ამომრჩეველების მონაცემთა ბაზაში არსებული თითოეულ ჩანაწერზე გაცემულია შესაბამისი დოკუმენტი, მათ შორის, 2,6 მილიონ პირზე – ელექტრონული პირადობის მოწმობა ან ბიომეტრიული პასპორტი.

იუსტიციის მინისტრმა უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე კიდევ ერთხელ განმარტა, თუ რატომაა განსხვავება საარჩევნო სიებისა და სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ საყოველთაო აღწერის შედეგებს შორის. თეა წულუკიანმა აღნიშნა ამ სხვაობის

# მთავრობამ პარლამენტს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა

მომავალი წლის შემოსულობების ნაწილი – 12 მლრდ 298 მლნ ლარით განისაზღვრება.

პროექტის თანახმად, რამდენიმე სამინისტროს დაფინანსება იზრდება, რამდენიმე უწყების მცირდება.

კერძოდ, პარლამენტსა და მასთან არსებული ორგანიზაციების დაფინანსება მიმდინარე წელთან შედარებით (60 მლნ 131 ათასი ლარი) იზრდება და 2018 წელს 62 მლნ 131 ათასი ლარი იქნება.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსება მიმდინარე წლის მსგავსად, მომავალ წელსაც 9 მლნ 800 ათასი ლარი იქნება, ისევე როგორც კვლავ მლნ 800 ათასი ლარით დაფინანსდება ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მიმდინარე წლის მსგავსად, 2018 წელსაც 16 მლნ 500 ათასი ლარით დაფინანსდება. მთავრობის ადმინისტრაციისგან განსხვავებით, დაფინანსება ეზრდება ცესკოს. ბიუჯეტის პროექტით, თუკი 2017 წელს, ცესკოს დაფინანსება 60 მლნ 500 ათასი ლარი იყო, 2018 წელს 67,058,2 მლნ ლარი იქნება. რაც შეეხება სამინისტროებს, დაფინანსების თვალსაზრისით, კვლავ ლიდერობენ მთავრობის მიერ პრიორიტეტად გამოცხადებული სამინისტროები. კერძოდ, ყველაზე მეტი საბიუჯეტო დაფინანსება ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებს აქვთ.

ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, 2018 წელს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება ერთი მლრდ 830,0 მლნ ლარი იქნება, 2017 წელს კი 1,258,047,0 ლარი იყო. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ბიუჯეტიდან 3 მლრდ 527 მლნ ლარს მიიღებს. (2017 წელს – 3,415,800,0 ლარი იყო) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება – 1,178,770,01 ლარი იქნება, 2017 წელს – 1,116,165,0 ლარი იყო. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გამოყოფილია 253,8 მლნ ლარი, 2017 წელს 370,467 მლნ ლარი იყო. ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება მიმდინარე

წლის მსგავსად, 2018 წელს კვლავ 82,3 მლნ ლარს შეადგენს.

იუსტიციის სამინისტროსთვის გამოყოფილია 62 მლნ ლარი, 2017 წელს კი 62,015,0 ლარი იყო. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაფინანსება 145,0 მლნ ლარი იქნება, 2017 წელს 139,100,0 ლარი იყო. საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 114 მლნ ლარი (2017 წელს 110 მლნ ლარი იყო). თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 702 მლნ ლარი (2017 წელს 748 მლნ ლარი იყო). ალსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება იზრდება და 605 მლნ ლარს შეადგენს, მათ შორის 20 მლნ ლარი გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო ტექნიკის შესყიდვისთვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილია 266 მლნ ლარი (2017 წელს 257,995,0 ლარი იყო). საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 123 მლნ ლარი. ენერჯეტიკის სამინისტროსათვის გამოყოფილია 131 მლნ (2017 წელს 132,300,0 ლარი იყო). კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 116,5 მლნ ლარი, მათ შორის ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე საქართველოს წარდგენის ღონისძიების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 16,5 მლნ ლარამდე.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთვის გამოყოფილია 96 მლნ ლარამდე, 2017 წელს 84,790,0 ლარი იყო. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის გამოყოფილია 165,7 მლნ ლარამდე, 2017 წელს 136,820,0 ლარი იყო. ამასთან, 35 მლნ 700 ათასი ლარიდან – 42 მლნ 975 ათას ლარამდე იზრდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაფინანსება. ასევე, იზრდება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დაფინანსება, რომელიც 5 მლნ 500 ათასი ლარით განისაზღვრება. მთავრობამ პარლამენტს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი რეგლამენტის შესაბამისად, 1 ოქტომბრამდე წარუდგინა.

# უწყებათაშორისი კომისიის პირველი შუალედური ანგარიში

თამისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიამ, რომლის მეშვიდე სხდომა გამართა, 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის განწესებული საქმიანობის პირველი შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა.

კომისიის რიგით მეშვიდე სხდომას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი უძღვებოდა. სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები აღმასრულებელი ხელისუფლების, საარჩევნო პროცესში ჩართული პოლიტიკური პარტიებისა და ბლოკების, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომისიის საქმიანობის შუალედური ანგარიშის თანახმად, 2017 წლის 30 ივნისიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით კომისიის სახელზე ელექტრონული ფოსტისა და იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მეშვეობით, ჯამში, 43 განცხადება შევიდა. საანგარიშო პერიოდში მედიამონიტორინგის შედეგად და სამდივნოში სხვა წყაროებიდან წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, პროკურატურის ზედამხედველობით სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიება უმოკლეს ვადებში დაიწყო სისხლის სამართლის 11 საქმეზე; ამ ეტაპზე გამოძიება მიმდინარეობს



სისხლის სამართლის 10 საქმეზე. კომისიამ 6 სხდომის ფარგლებში პოლიტიკური პარტიებისა და საჯარო სტრუქტურებისთვის 4 რეკომენდაცია გამოსცა.

დღევანდელ სხდომაზე უწყებათაშორისი კომისიამ შესაძლო დარღვევების თაობაზე დამკვირვებლებისა და საარჩევნო სუბიექტების განცხადებები განიხილა. გარდა კომისიის წევრების მიერ შემოტანილი განცხადებებისა, სხდომაზე ის შესაძლო დარღვევებზეც იქნა განხილული, რომლებიც უწყებათაშორისი კომისიამ მედიამოგვრცელებული მასალების მონიტორინგის ფარგლებში მოიპოვა.

უწყებათაშორისი კომისია თანამშრომლობს საარჩევნო პროცესში ჩართულ პოლიტიკურ პარტიებსა და ბლოკებთან, ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დამკვირვებლებთან. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია საქმიანობას ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან შეწყვეტს.

არ მაძვს საფუძვლი, არ ვინდო სან-  
ფორმაციო საბავშვოების ინფორმაციას,  
პრაქტიკულად არაფერს ატარებს ჩვენს  
თავსადაც.

რიზეს უნივერსიტეტში სიტყვით გამოსე-  
ლისას თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა  
განაცხადა, რომ „თურქეთის 79 მილიონი  
მცხოვრების გარდა, სხვა გეოგრაფიულ რე-  
გიონებში, კიდევ არსებობს ასობით მილიონი  
ჩვენი ძმა, ვისთანაც გვაქვს ისტორიული კავ-  
შირები. ჩვენს ინტერესებში შედის ერაყი, სი-  
რია, ლიბია, ყირიმი, ყარაბაღი და სხვა სამხრეთ  
რეგიონები. როდესაც თურქეთი თავის დამო-  
უკიდებლობასა და მომავალს დეკარავს, ჩვენც  
მასთან დავკარგავთ ინტერესს ამ ტერიტორი-  
ების მიმართ. უამრავი ისტორიული განიხი-  
ლავს, რომ თურქეთის საზღვრებში უნდა შე-  
დიოდეს კვიბროსი, ხალეპი, მოსული, არბილი,  
კირკუტი, ბათუმი, თესალონიკი, კირძალი, ვარ-  
ნა, დასავლეთი თრაკია და ეგეოსის კუნძულები“  
(worldnews.ge)

სახელმწიფო გადატრიალების მცდელო-  
ბის აღკვეთის შედეგად ნაციონალისტური სუ-  
ლისკვების მეტ-ნაკლებად აღმავლობამ, ასე-  
ვე სირიის სისხლისმღვრელ კონფლიქტში  
თურქეთის გააქტიურებული როლის, ქურთუ-  
ლი სახელმწიფოს პერსპექტივებისადმი მისი  
გალიზაციების, ევროკავშირის ქვეყნების მხრი-  
დან თურქეთისა და მისი ლიდერისადმი და-  
უფარავი კრიტიკული დამოკიდებულების,  
განსაკუთრებით, ევროპაში მცხოვრები თურქი  
ეროვნების ადამიანებისადმი ბატონი ერდო-  
ღანის აგრესიული მონოდეტების გათვალის-  
წინებით, შეუძლებელია ქართველი საზოგა-  
დობა არ დააფიქროს თურქული ელიტის გახ-  
შირებული ინტერესი ბათუმის, მთელი აჭა-  
რის მიმართ.

ყოველგვარი მიკბ-მოკიბვის გარეშე უნდა  
დავასკვნა: ამას „რევიზია“ ჰქვია – საერთაშო-  
რისო გადამწყვეტილებების, მსოფლიოში დღეს  
არსებული წესრიგის, სახელმწიფოთა შორის  
ურთიერთობის რევიზია.

ჩემი ამ პირადი(!) დაცვის საფუძვლიანო-  
ბას ცალსახად აძლიერებს რუსეთისა და თურ-  
ქეთის სტრატეგიულ-ტაქტიკური დაახლოე-  
ბის აშკარად ხელოვნური დემონსტრაცია, სა-  
ხელმწიფო ლიდერების ურთიერთვიზიტების  
გაშუქების მასშტაბები, ყირიმის „პრობლემის“  
ძალისმიერი გადაწყვეტილება, უკრაინასთან  
კონფლიქტის მოუგვარებლობა და ეკონომი-  
კური სანქციების გამო რუსეთის ჩიხური  
მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებადა,  
რომელიმე არსებული თუ დამატებითი ლო-  
კალური სამხედრო კონფლიქტის სავარაუდო  
წამოწყება-გაღრმავება. დამატებით ამას აფხა-  
ზეთსა და ენ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამე-  
ხედრო პოტენციალის არნახული ზრდა და...  
ჩვენთვის ყველაფერი უნდა დადგეს კუთვნილ  
ადგილზე.

ამასთან დაკავშირებით ღირს დაფიქრე-  
ბა, რეალობის განალიზება. მოვლენათა სა-  
ვარაუდო განვითარების პროგნოზირება, სახელ-  
მწიფო დეტალებისადმიც კი სერიოზული ყუ-  
რადლება, რამეთუ, როგორც იცყვიან, სწორედ  
დეტალებშია ეშმაკი დამალული. და თუ საჭი-  
რო გახდება, უნდა გადაიდგას კიდევ აუცი-  
ლებელი ნაბიჯები სახელმწიფოს საგარეო პო-  
ლიტიკის დახვეწის მიზნით.

მანამდე კი ერთი მტკივნეული საკითხი, გა-  
ომოვნიერე იმ საერთო რეალობიდან, ზემოთ  
რომ შემოვხაზეთ. იგი სახელმწიფოს რეპუტა-  
ციას ეხება. აქსიომია ის, რომ დროშასთან,  
ღერბსა და ჰიმნთან ერთად სახელმწიფოს რე-  
პუტაცია თვალისწინებით გასაფრთხილებე-  
ლია, რამეთუ, უწინარესად, ეს სიმბოლოები  
და მათდამი მოქალაქეთა დამოკიდებულება  
გამოხატავს სახელმწიფოს სტაბილურობას.

მეჩვენება, რომ ამ მხრივ ცვლილებათ ყველა  
– სახელმწიფო სტრუქტურები, საზოგადოებ-  
რივი ინსტიტუტები, მოქალაქეები.

მიუხედავად ზოგიერთი მნიშვნელოვანი და  
კონკრეტული წარმატებისა, რაც დაკავშირე-  
ბულია უშუალოდ პრემიერ გიორგი კვირიკაშ-  
ვილის პერსონასთან, ისეთი ჩავარდნები გვაქვს  
საგარეო ასპარეზზე, რომ ეჭვი გვიჩნდება, სე-  
რიოზული, საფუძვლიანი: **საქართველოს ხე-  
ლისუფლების სტრუქტურაში არსებობს კი  
ფეფქტიანი, ავტორიტეტული, კომპეტენტური  
საგარეო საქმეთა სამინისტრო?**

ეს შეკითხვა თანაბრად ეხება წინა და ახალ  
ხელისუფლებას, რამეთუ „სირაქლემას პოზი-  
ციაში“ ყოფნა დღევანდელი „გამოგონება“ არ  
გახლავთ და ამის შესახებ ადრეც, რამდენჯერ-  
მე მივანიშნეთ, ქვეტექსტად, ირიბად, ტაქტი-  
ანად იმას ვისაც ვერ არს. შეგახსენებთ ზო-  
გიერთ ფაქტს:

– საზოგადოებისთვის, მაგალითად, უცნო-  
ბია, ჰქონდა თუ არა დიპლომატიურ უწყებას  
სერიოზული, ადეკვატური რეაქცია თურქულ



# SIC!!! SIC!!! SIC!!!

## ახლა...

### ერდოღანის!!!

...აი, სწორედ ეს არის ერთ-ერთი იმ ე.წ.  
დეტალებიდან, ზემოთ რომ მივანიშნე და  
რომლებშიც სწორედ ის ეშმაკია დამალუ-  
ლი, რომელსაც ხან ელცინი ჰქვია, ხან –  
პუტინი, ხან – არძინბა, ხან – კოკოთი,  
მოგჯერ – დავითოლლუ ან – ორბანი, ახ-  
ლა კი... აგერ, გამოჩნდა ალა ერდოღანიც!

მედაიში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებზე და  
სასწავლო სახელმძღვანელოებში გამოქვეყნე-  
ბულ სკანდალურ რუკებთან დაკავშირებით,  
როცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი –  
აჭარა და ბათუმი განიხილება თურქეთის შე-  
მადგენლობაში? თუ ჰქონდა, ეგებ, ჩვენ გამოვ-  
ვჩნა და, მოკრძალებით ვითხოვთ, მიგვანიშ-  
ნონ ჩვენი დიპლომატიის და მისი მაშინდელი  
მეთაურის ბ. გელა ბეჟუაშვილის (ანუ, სამი-  
ნისტროს) საჯარო (!!), პრინციპული ხასიათის  
რეაგირება, თანაც ისიც, როგორ მოხდა ჩვე-  
ნი საზოგადოების ინფორმირება ამ მტკივნე-  
ულ თემაზე, სად და როდის გამოქვეყნდა სა-  
მინისტროს მტკიცე „პოზიცია“ მასობრივი ინ-  
ფორმაციის საშუალებებში?

– გახსოვთ, ალბათ, როგორ „დაიბრმავე-  
ორთავ თვალნი“ და არ შეიმჩნია მაშინდელმა სა-  
გარეო უწყების თავკაცმა, ბატონმა გიორგი ვა-  
შაძემ (ანუ სამინისტრომ) საქართველოში სა-  
განგებოდ, ვითომ „სტუმრად“ ჩამოსული უწ-  
გრეთის მოქმედი პრემიერის საქციელი, როცა  
ის დიპლომატიური პრაქტიკისთვის გაუგონარი  
მოურიდებლობით ჩაერია ჩვენს საშინაო საქ-  
მეებში, ღიად მიიღო მონაწილეობა 2012 წლის  
საპარლამენტო წინასაარჩევნო კამპანიაში, ხო-  
ლო დამთავრებისას, შედეგებით უკმაყოფი-  
ლომ, უხეშად „დატყუეს“ საქართველოს ამომ-  
რჩევლები, მისი გაგებით, „ცუდი“ არჩევანისა  
გამო, ანუ ხმა რატომ მიეცით „ქართულ ოცნე-  
ვას“ და არა სააკაშვილის ენმ-სო.

სხვათა შორის, ამ „გამოხტომას“ სრული-  
ადაც არ შეუშლია ხელი იმისთვის, რომ ორი-  
ოდე წლის შემდეგ ტაშ-ფანდურით გვემას-  
პინძლა უკვე „გამოსწორებული“ და ახალ ხე-  
ლისუფლებასთან ჩახუტებული ბატონი ორ-  
ბანისთვის. ეტყობა, ორივე მხარეს კლასიკური  
გაგებიდან განსხვავებით, ესმის თუ რა შინა-  
არსია ჩადებული ტერმინში „თავმოყვარეო-  
ბა“, ისევე, როგორც რას ნიშნავს ტერმინი „ორ-  
მაგი სტანდარტი“.

– არა მგონია, ჩვენს საზოგადოებას და-  
ვინცებოდან თურქეთის ერთ-ერთი ლიდერის  
ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრის, შემდგომ  
კი პრემიერის დავითოლლუს ადრინდელი ლაყ-

ბობა(!) ბათუმთან დაკავშირებით? რაღაც არ  
გვაგონდება მაშინდელი სამინისტროს და მისი  
წინამძღოლის, ქალბატონი მაია ფანჯგიძისა  
და მისი მოადგილეების (ახლაც რომ მოადგი-  
ლეობენ) ისეთი ღირსეული პასუხი ამ უტიფ-  
რობაზე, რომელიც ცნობილი გახდებოდა ჩვე-  
ნი საზოგადოებისთვის.

– სულ რაღვინძივ თვის წინათ ჩვენი საზო-  
გადობა ალაშფოთა ევროკავშირის სპეცია-  
ლური წარმომადგენლის ზალბერის „ალტაცე-  
ბამ“ იმის თაობაზე, თუ რა სერიოზულად ჩა-  
ტარებულ პრეზიდენტის არჩევნები ენ. სა-  
ხრეთ ოსეთში და იმან, თუ რა აღმატებული შე-  
ფასებებით მიულოცა ახალგაომცხვარ პრე-  
ზიდენტს გამარჯვება იმ არჩევნებში, რომელ-  
საც... უკანონოდ მიიჩნევდა და მიიჩნევს მისი,  
როგორც სპეციალური ემისრის წარმომგზავნი  
უმაღლესი ევროსტრუქტურა... გაგახსენებთ  
იმასაც, თუ პრაქტიკულად როგორ „გადაყლა-  
პა“ ჩვენმა საგარეო უწყებამ საერთაშორისო  
დიპლომატიურ პრაქტიკაში წარმოუდგენელი  
მსგავსი საქციელი, „ბოდივა“, მიაფურჩა ავთი  
შემთხვევაში უპირობოდ საჭირო რეაგირება  
და მისცა საშუალება ამ ვაი-დიპლომატს  
„მშვიდობიანად“ განრიდებოდა ობიექტურ  
სკანდალს... ჩვენი საზოგადობა არ ჩათვალეს  
იმის ღირსად, რომ ვინმეს სერიოზულად და  
ღირსეულად აეხსნა საგარეო უწყების ეს „კე-  
თილშობილური“ უესტი...  
– ახლახან ევროპარლამენტის პოლონელმა  
დეპუტატმა იაროშმა, რომელიც ლამის „ადი-  
უტანტად“, „კურატორად“ თუ „პირად მცვე-  
ლად“ არის მივლინებული ჩვენი ექს-პრეზიდენ-  
ტის ევროკოიპაფუბი და, პრაქტიკულად, გვერ-  
დიდან არ შორდება ოდესის ყოფილ გუბერ-  
ნატორს, მსოფლიოს გასაგონად განაცხადა,  
რომ საქართველოს ხელისუფლებამ უკანონოდ  
(!!!) ჩამოართვა მოქალაქეობა ბატონ მისიელ  
საკაშვილს. უფრო მეტიც, ევროპარლამენტში  
„ყურების დაჭრით“ დამუქდა ჩვენს ქვეყანას...  
იმისათვის, რომ საგარეო უწყებამ ხელისუფ-  
ლების სახელით გააკეთოს საჭირო ოფიცია-  
ლური განცხადება, ვის მითითებას ან რას  
ელოდება საგარეო საქმეთა მინისტრი, იგივე

ვიცე-პრემიერი ბატონი ჯანელიძე?  
– კარგად გვესმის რას ნიშნავს არა მარ-  
ტო დიპლომატიური ეტიკეტი, არამედ ჩვეუ-  
ლებრივი, ადამიანური ტაქტი და ისიც, რომ წი-  
წასაარჩევნო რიტორიკა ბევრ „რამეს“ იტანს,  
მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი: როცა  
თურქეთის პრეზიდენტობის კანდიდატმა ალ-  
მაშფოთებელ ცილისწამებად, პირად შეუ-  
რაცყოფად (!!!) ჩათვალა და საჯაროდ დაგ-  
მო თურქული მედიისა და ცალკეული პოლი-  
ტიკოსების ვარაუდი, ვითომდა მის წარმომავ-  
ლობაში ქართული ფესვების არსებობის შე-  
სახებ, ეს როგორ უნდა იქნეს გაგებული? თა-  
შისცემითა და ოვაციებით უნდა შეგხვდეთ „ის-  
ტორიული მეგობარი“ ქვეყნის მომავალი თავ-  
კაცის ამ უტაქტობას და მორჩილად აღვასრუ-  
ლოთ მისი ნებისმიერი „კაპრიზი“, ეხება ეს  
„დიდგორობის“ აღნიშვნას თუ პოლიტიკური  
ოპონენტების საქართველოდან ექსტრადიციის  
ჯიუტ მოთხოვნას?

(ბარემ ამ ვითარებას, როგორც სამწუხა-  
რო საფუძვლს, დაუკავშირებთ იმ აბსოლუ-  
ტურად არაეთიკურულ და ანტისახელმწიფო-  
ებრივ, აბსოლუტურად გაუგებარ, მავნე, აღ-  
მაშფოთებელ პრაქტიკას, რომლის შედეგად  
ათეულათასობით თურქეთის მოქალაქეს და-  
უკანონდა საქართველოს მოქალაქეობა და, არ  
არის დასაბალი ის, თუ ამ „მოვლენამ“ პრინ-  
ციპულად როგორ იმოქმედა საარჩევნო გარე-  
მოზე ბათუმში)...

და აი, ამ რეალობას მივყავართ ერთ სა-  
ვალალო დასკვნამდე: ჩვენი დიპლომატიის  
ხელთ არსებული ღია თუ „კულისების“ მეთო-  
დებით მტკიცედ, პრინციპულად, შეუპოვრად  
და ბრძნულად რომ არ ვიცავთ ეროვნულ-სა-  
ხელმწიფოებრივ ინტერესებს, სწორედ ამიტო-  
მაც მივიღეთ კიდევ მორიგი „ალიყური“ ბა-  
ტონმა ერდოღანმა აღარ დამალა პრეტენზია  
აჭარაზე, ბათუმზე...

აი, სწორედ ეს არის ერთ-ერთი იმ ენ. დე-  
ტალებიდან, ზემოთ რომ მივანიშნე და რომ-  
ლებშიც სწორედ ის ეშმაკია დამალული, რო-  
მელსაც ხან ელცინი ჰქვია, ხან – პუტინი, ხან  
– არძინბა, ხან – კოკოთი, ზოგჯერ – დავი-  
თოლლუ ან – ორბანი, ახლა კი... აგერ, გამოჩ-  
ნდა ალა ერდოღანიც!

ყოველივე ამის შემდეგ გვაქვს თუ არა უფ-  
ლება, კრიტიკულად შევფასოთ საგარეო საქ-  
მეთა სამინისტროს, როგორც ამ მიმართულე-  
ბით წამყვანი სახელმწიფო სტრუქტურის საქ-  
მიანობა?

და ვინმე „ავადმყოფმა“ (აქაურმა თუ იქა-  
ურმა) ამ ჩემს მორიგ, გულსიტყვილით და  
გულშემატკივრული სულისკვეთებით გამსჭ-  
ვალულ რეპლიკას რაღაც „კუდი“ რომ არ გა-  
მოაბას, ვაცხადებ:


– არ მივანჩნია ადრინდელი თურქეთში  
ჩვენს ისტორიულ მემოზრად და ყოველ-  
გვარი განცხადება ამ ე.წ. „ისტორიულ მემ-  
ოზრებაზე“ არის, რბილად რომ ვთქვათ,  
ოლმეტიტარული უმეცრება, რომლის გა-  
მართლება „რადაც“ დიპლომატიური ტაქ-  
ტიკით თუ სახელმწიფო ინტერესებით არის  
კიდევ უფრო დიდი სიბრძნე.

– მივანჩნია ბოლო 20-25 წლის  
მანძილზე ორ ძველსავე შორის ბანევიტა-  
რებულ თანამშრომლობას და გარკვეულ  
წილად თბილი ურთიერთობების ბანევიტა-  
რებას, რასაც სახელმწიფო ინსტიტუტებ-  
თან და პოლიტიკოსებთან ერთად, პირა-  
დად მძვ, რომორც არასამთავრობო საქ-  
მეთის წარმომადგენელი, ვუწყობდი  
ხელს, რომორც დაფუძნების ინიციატო-  
რი და თანამშრომელნი თურქეთ-საქარ-  
თველოს მემოზრების და თანამშრომლო-  
ბის ასრულების (დარბისტრირებაშულია  
ქანკარბის), რომელსაც რამდენიმე წლის  
მანძილზე პირად პატრონატს უწევდნენ  
პრაქტიკულად იმ სულიდან დამირალი და  
ელშარდ შივარდნამ.

– ჩემი არაერთი კოლეგის და თანამოაზ-  
რის სახელით დაბეჯითებით ვითხოვ და ვე-  
ლოდები სახელისუფლებო სტრუქტურების  
რეაქციას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რა-  
ზეც თუ მოუტევა გვაქვს საუბარი.

**და თუ ვინმე, განსაკუთრებით კი ზოგი-  
ერთი „ნაციონალი“ ჩინოსანი ფიქრობს, რომ  
ყოველივე ამას მხოლოდ ბულის მოსაფხა-  
ნად ვხედავთ და ვამოვით, ღრმად ცდნა. პარწა-  
ნებ ათ: ამ მიმართულებ-  
ებით ბაჰანის და ბაჰანის  
„ძილს“, „უნიტობას“ და  
„სირაქლემობას“ უპი-  
როოდ მოჰყვება საზო-  
გადოების ადამიანური  
ძმადება.**

ნუზუარ  
ფოფსაძე





# რა დგას სარჩიელი სიბყვობის მიღება?

## „პოლიტიკური სისტემა არ არსებობს საქართველოში და ახას მთელი ეს საკონსტიტუციო მიმართულებით სხადყოფს“

შერაპელისობა პრეზიდენტს „შერჩევითი ხასიათის“ ვეტოს სთხოვს, პრეზიდენტი კი ყოყმანობს და ფართო კონსულტაციების გარეშე არ სურს გადაწყვეტილების მიღება. საკონსტიტუციო პროცესი ნელ-ნელა აბსურდამდე მიდის და თუ ასე გაგრძელდება, შესაძლოა, მალე ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი შეიქმნას.

არადა, კონსტიტუცია სამივე მოსმენით მიღებულია. რა ხდება და ვის აწყობს ქაოსი სწორედ ამ პროცესთან დაკავშირებით დღეს ამ თემაზე ექსპერტი ვაჟა ბერიძე გვესაუბრება.

— ვეტო იმ ორ საკითხზე, ბლოკების დაშვებასა და ბარიერის 3%-მდე დაწვევასთან დაკავშირებით, უფრო მეტად ოპოზიციას უნდა აწყობდეს, რომელიც ამ ეტაპზე როგორც ვნახეთ, პრეზიდენტის გარეშე აღმოჩნდა თავმოყრილი. თუმცა მივიღეთ საპირისპირო სურათი — უმრავლესობა პრეზიდენტს ლამის ევედრება ვეტოს — შორიდან საკმაოდ უცნაურად გამოიყურება ეს ყველაფერი — რეალურად, რასთან გვაქვს საქმე?

— ყველაფერი, რაც კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ხდება, ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია. გავლენები გადანაწილებულია ორ ძალას შორის — ეს არის სახელისუფლებო პოლიტიკური ძალა და „ნაციონალური მოძრაობა“.

როგორც ჩანს, მომავალი არჩევნები ძალიან აშფოთებს ყველა პოლიტიკურ სუბიექტს, რადგან თუ რამე ექსტრემალური არ მოხდა, ცხადია, რომ ამ არჩევნებსაც მოიგებს მმართველი პარტია და სტატუს-კვო შენარჩუნდება.

აქედან გამომდინარე, მთავარი საკითხია, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ვინ იქნება მთავარი ალტერნატივა მმართველი ძალის. ამისთვის მიმდინარეობს ბრძოლა — დარჩება „ნაციონალური მოძრაობა“, თუ ის ველარ შეასრულებს ამ როლს იმ ყბადაღებული 9-წლიანი მმართველობის გამო.

— ვინ შეიძლება ჩაენაცვლოს?  
— „ევროპულ საქართველოს“ ელექტორატის სათანადო მხარდაჭერა არ ექნება; „პატრიოტთა ალიანსი“ და ნინო ბურჯანაძის პარტია დასავლეთისთვის მიუღებელია და ექვით უყურებენ მას. არის მცდელობა, შეიქმნას ახალი პოლიტიკური ცენტრი, პრეზიდენტ მარგველაშვილის გარშემო, რომელიც ჯერ უპარტიო ლიდერი იყო, შემდეგ გახდა ზეპარტიული ლიდერი და დღეს, ფაქტობრივად, მოგვევლინა ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილის შემკრებად.

— ეს გასაგებია, პოლიტიკური პროცესია, მაგრამ, ამავდროულად, ქვეყნის მთავარი დოკუმენტით მანიპულირებაზეა ლაპარაკი...

— მარტივად გამოსავალს შევთავაზებდი — ჩავატაროთ გამოკითხვა და აქ იმ-

**კომპრომისი შეიძლება მხოლოდ სრულფასოვან, დამოუკიდებელ მოთამაშეებს შორის, მაგრამ არანაირი კომპრომისი არ შეიძლება მოხდეს ხელისუფლებისგან დისტანცირებულ, მაგრამ მაინც მმართველ ძალასა და უკრაინაში მოხეტიალე რაინდის მიერ მართულ მარიონეტულ პარტიას შორის. მით უმეტეს, არაფრის გადამწყვეტები არ არიან ამ ორ ორბიტაზე აღმოცენებული სხვა პარტიები.**

პროვიზაციები, იმასთან დაკავშირებით, რომ მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ვერ ჩატარდება ეს გამოკითხვა და ეს ტერიტორიების დაკავების აღიარება იქნება, სრულიად უნიადაგოა — თუ არჩევნები ტარდება საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ ნაწილზე და არ მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიას, ამით ჩვენი ხელისუფლების ლეგიტიმურობას ჯერ ჩრდილი არ მისდგომია.

თუ ხალხის უმინიათ, რომ ის საკვანძო დებულებებს ვერ გაიგებს — ასე არ არის. თუ მმართველი გუნდი ფიქრობს, რომ ხალხი აუცილებლად პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევას მოინდომებს, ესეც არასწორია მმართველი ძალის მხრიდან.

თუ ოპოზიციის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ არ შეიძლება ხალხმა მოითხოვოს დაფიქსირება სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე მიყიდვის აკრძალვის ან ქორწინების შესაბამისი ფორმით დაკანონების ან სხვა თემების შესახებ, ვიცით, რომ ამაზე ოპოზიციის ნაწილი არ არის თანახმა.

აქედან გამომდინარე, თამაშიდან გაყავთ ხალხი და პოლიტიკური, არცთუ



მთლად კეთილსინდისიერი ვაჭრობით მიღებულ კონსტიტუციას სთავაზობენ ხალხს. მე მოვუწოდებდი, რომ ხალხი დაეზრუნებინათ პოლიტიკაში და ჩეტარებინათ გამოკითხვა, რომელზეც არ ვრცელდება ის შეზღუდვა, რაც რეფერენდუმზეა. შემდეგ უკვე, ამით პოლიტიკური ძალების ლიდერებს მიეცემოდათ საფუძველი, მოეთხოვათ კონსტიტუციაში ამა თუ იმ შესწორების დაკანონება.

— ასეთი იმპროვიზაციები, რომ ვილაცამ რაღაც დათმო — ბარიერი დასწია, ბლოკები დაუშვა, — აღარ იქნება საჭირო?

თუ საკითხს ასე საფუძვლიანად მივუდგებით, მაშინ, საერთოდ ახალი კონსტიტუციის მიღება იქნებოდა მიზანშეწონილი, სულ სხვა კონცეპტუალურ საფუძვლებზე, რადგან შეუძლებელია საპარლამენტო მოდელზე გადასვლა ისეთ ქვეყანაში, სადაც პარტიები არიან უსუსტესი ფინანსურადაც, ორგანიზაციულადაც, ადამიანური რესურსებითაც და ელექტორატის თვალსაზრისითაც.

კარგია, რომ საპარლამენტო მართვის მოდელზე გადავიდეთ, მაგრამ ის გულისხმობს ძლერი პარტიების, ბლოკების, კომპრომისების, დათმობების, კრიზისების არსებობას და რაღაცების იმით გამართლება, რომ ორპალატიანი პარლამენტი არ გვაქვს და აუცილებლად უნდა იყოს არჩეული მაღალი ლეგიტიმაციის პრეზიდენტი, რომელიც დამბალანსებელი იქნება პოლიტიკური სისტემის, ძალიან უსუსურია.

არც იმისი საფუძვლიანი დასაბუთება მომისმენია, რომ მაინცდამაინც პროპორციულ სისტემაზე გადასვლა არის პანაცეა ქართული დემოკრატიის გა-

დარჩენის. ხოლო მაჟორიტარული არჩევნები არის ხელალებით უარსაყოფი იმიტომ, რომ იქ ფულიანი და მდიდარი ადამიანები იგებენ არჩევნებს თავიანთი ფინანსური რესურსის წყალობით. ეს კატეგორიულად მიუღებელია, რადგან ის მიზეზები უნდა აღმოვფხვრათ, რომელიც კონსტიტუციის ხდის არამდიდარ ადამიანს მაჟორიტარულ არჩევნებში, და არა ავკრძალოთ ის და გადავიდეთ პროპორციულ, ანუ პარტიებით მართულ სისტემაზე. თანაც ეს მაშინ, როდესაც საპარლამენტო მმართველი პარტიაც კი არ არსებობს. მმართველი პარტიას, „ძართულ ოცნებას“ არა აქვს პარტიულობის არანაირი ნიშან-წყალი, რომ არაფერი ვთქვათ სხვა პარტიებზე. არის რამდენიმე ტრადიციული პარტია, მაგრამ ფინანსურად უაღრესად სუსტები არიან.

რომ ჩაიხედოთ დამფინანსებლის ნუსხაში სასაცილო სურათს დაინახავთ — ტენდერებში გამარჯვებული ბიზნეს-მენები აფინანსებენ მმართველ ძალას და ყველა დანარჩენ პარტიას ჰყავს ერთი-ორი დამფინანსებელი. ბიუჯეტიდან მიღებული ორი კაპიკით რომ არსებობენ, იმ პარტიებმა უნდა შექმნან საპარლამენტო მოდელი?! — სერიოზული პრობლემების წინაშე ვდგავართ...

„ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებებიდან როგორც ირკვევა, ეს ყველაფერი დატრიალდა იმისთვის, რომ ორი კი არა, სუთი ცვლილება შეიქმნას კონსტიტუციაში — ჩვეულებრივი პოლიტიკური ვაჭრობა, მაგრამ დავუშვათ ხელისუფლება არაფერზე არ დათანხმდა და 3%-იანი ბარიერისა და ბლოკების დაშვების გარეშე დატოვა ოპოზიცია, რა მოხდება ასეთ შემთხვევაში?

— მერე მიმდინარეობს პოლიტიკური პროცესი კანონის ჩარჩოებში და ფარგლებში — თუ პოლიტიკური პარტიები არ ეთანხმებიან მოვლენათა ასეთ მიმდინარეობას და საკუთარი ელექტორატის იმედი აქვთ, ხალხი გამოჰყავთ ქუჩაში და მიდის პოლიტიკური პროცესი ქუჩის ზენოლით. თუ ამისი თავი აქვთ და მუსტი არის საპროტესტო, ხალხის მხარდაჭერას გვაჩვენებენ ქუჩაში, თუკი დარბაზებში ვერ თანხმდებიან კომპრომისებზე?

ვფიქრობ, სხვა გამოსავალი არ არსებობს, რადგან კომპრომისი შეიძლება მხოლოდ სრულფასოვან, დამოუკიდებელ მოთამაშეებს შორის, მაგრამ არანაირი კომპრომისი არ შეიძლება მოხდეს ხელისუფლებისგან დისტანცირებულ, მაგრამ მაინც მმართველ ძალასა და უკრაინაში მოხეტიალე რაინდის მიერ მართულ მარიონეტულ პარტიას შორის. მით უმეტეს, არაფრის გადამწყვეტები არ არიან ამ ორ ორბიტაზე აღმოცენებული სხვა პარტიები.

ხოლო ტრადიციული პარტიებს, გარკვეული მიზეზების გამო და ამას აქვს თავისი საფუძველი, ვერ მოუძებნიათ გზა ამომრჩეველამდე — ზოგი ეკლესიას ებრძვის და ამით უნდა თავისი მისია შეასრულოს; ზოგი — პოპულისტურ ტალღაზე გადასული, რომ იქნებ, აქედან რამე გამოვიდეს და ამომრჩეველი მიიძვროს.

ასე რომ, პოლიტიკური სისტემა არ არსებობს საპარლამენტო და ახას მთელი ეს საკონსტიტუციო მიმართულებით ცხადყოფს.

ესაუბრა

ლალი ზირაძე

## დავიღუპით! - ალაკო ელისაშვილმა თბილისის საკრებულო დატოვა

ალაკო ელისაშვილმა თბილისის საკრებულო დატოვა და განაცხადა, რომ მიზეზი 29 სექტემბერს საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა. ელისაშვილის თქმით, განცხადება საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე უკვე დაწერა.



„შეიძლება არასერიოზულად გამოიყურებოდეს, როცა ამ მოწვევის საკრებულო სამ კვირაში ასრულებს თავის მუშაობას, მაგრამ მაიძულეს, რადგან საკრებულო ერთი ადა-

მიანის ბეჭდის დამრტყმელ ორგანოდ იქცა“, — განაცხადა ელისაშვილმა.

თუ იცი, ძვირფასო ალექო, რომ ეს საქციელი არასერიოზულია, რატომ დატოვე საკრებულო? მსგავსი უგუნური ნაბიჯი ვით ეკადრება ერთ დროს აქუს ტელევიზიის ვარსკვლავს?

## თუ მერობის კანდიდატებმა არ მოანსერიგეს საქთარის დოკუმენტები, საქთარ თავს ვერ მისჯავენ ხმას!

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, საბუთებთან დაკავშირებით მერობის რამდენიმე კანდიდატს პრობლემა აქვს და თუ დროულად არ მოაგვარებენ, ეს კანდიდატები ხმის მიცემას ვერ შეძლებენ. „თუ მერობის კანდიდატებმა არ მოანსერიგეს საკუ-

თარი დოკუმენტები, აღმოჩნდება, რომ მივლენ არჩევნების დღეს უზანზე და საკუთარ თავს ვერ მისცემენ და საკუთარ პარტიას ხმას ჩვენ მუდმივად გვესმის სამწუნსარო სპეკულაცია, თითქოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიხედვით, ქვეყანაში არის ნაკლები ამომრჩეველი და რომ ჩვენი მონაცემებით და ცესკოს სიით არის უფრო მეტი და ეს არის პრობლემა. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, არც ერთი წარმომადგენელი ამ ხელისუფლების და მე მგონია, რომ საქართველოს არც ერთი მომავალი მთავრობა, არ გააკეთებს იმას, რომ ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ამომრჩეველი ამორიცხოს სამოქალაქო რეესტრის ბაზებიდან“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.



წინასაარჩევნო პერიოდში არსებულ ვითარებაზე და გამოვლენილ დარღვევებზე გუშინ უწყებათაშორისი კომისიის მე-7 სხდომაზე მსჯელობდნენ. კომისიამ თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით პირველი შუალედური ანგარიშიც გამოაქვეყნა.

რეფორმების მანტიით მოსილიმა, რჩეულმა ავანტიურისტებმა „ყველაფერის მცოდნე“ სააკაშვილის თავდაცვითი, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს თავს დაატყვებეს უბედურებათა არნახული ჭექა-ქუხილი. მათი გამანადგურებელი შეტევა დაიწყო უნივერსიტეტის კედლებთან, როდესაც სარკინო უბნის ნაშიერებმა ცეცხლითა და მხველით შელესეს მისი წმინდა გელაგანი.

ცრურეფორმატორები კალიბრით მოედვენ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეს და ზარ-ზეიმით სიბნელისაკენ გაუკაფეს გზა.

„გაუგებრობაზე აღმოცენებულმა ბნელეთის მოციქულებმა (ბელადი სააკაშვილი, მისი მარჯვენა ხელი ლომია), რაც დახვდათ, ყველაფერს ვჯვაროსნული ომი გამოუცხადეს და მინასთან გაასწორეს. ჯოჯოხეთის მაშალებმა ქართული მეცნიერებისა და განათლების სიბოლო ალმა მატერი იარაღით აიღეს.

ცრურეფორმატორებს შევასხენებდი, რომ დანაშაულს სჩადიოდნენ, რაც სასჯელს იმსახურებდა (იხ. გ. ქაჯაძე, „გრაფე პარანომი“, „გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2006, 29 ივნისი). დემოკრატიის სამშობლო ათენში არსებობდა კანონის დაცვის იდეალური ფორმა — გრაფე პარანომონ (Grafe paranomon — საჩივარი უკანონობის წინააღმდეგ, რომელიც ზღუდავდა უსამართლო სამართლის მიღებას. ნაციონალურ სმენა დახსული ჰქონდათ. საუბედუროდ, რეფორმატორებმა მოვლენილება იერი, როგორც უიცი და არაფერისმცოდნე გათელეს, ჩამორჩენილად და არასრულფასოვნად გამოაცხადეს. მთავარი უბედურება ის იყო, რომ უნიჭო არარაობები ავრცელებდნენ ეროვნული ღირსებების შემლახველ აზრებს: საქართველოში განათლების მიღება შეუძლებელია (ამ სიბრძნის ავტორები, ალბათ, იმ რეალობიდან გამოდიოდნენ, რომ თვითონ არც საქართველოში და არც მის საზღვრებს იქით არაფერი უსწავლობდა. რაც შეეხება ქვის „გამხეთქავ“ უცხოურ სერტიფიკატს, აღნიშნული დოკუმენტი ძირითადად, სულაც არ არის დიდი ცოდნის დამადასტურებელი) არგუმენტირებულად პასუხის გაცემა ქუჩაში გამოძვებულ შედეგებს, მაგრამ მათ როგორც შერისხულს არავინ უსმენდა. მოედანი დარჩათ ავანტიურისტებს, რომლებსაც თავი ერის მამებად მოჰქონდათ.

იმავე წელს ვაფრთხილებდი გესლითა და შხამით სავსე ნაცისტებს, რომ „ისტორიას არ უყვარს კორიოლანუსები“, მაგრამ ნაცისტებს მოსმენის და სალად აზროვნების უნარი დაკარგული ჰქონდათ (უკვე იმავე წლის ზაფხულში ქართული მეცნიერების გადარჩენისთვის მებრძოლი გუნდი (აკად. თ. სანაძე, პროფ. ჯ. მეზონია, პროფ. გ. გოგოლაშვილი, პროფ. ა. დავითილიანი, პროფ. გ. მახარაძე, პროფ. გ. კუტალია და სხვები) გულისტკივილით აცხადებდა, რომ ალმა მატერს მავჯა არ ესინჯებოდა. წუთისოვლის მღვრივ ტალღები განუკითხავად მიაქანებდა უფსკრულისაკენ მრუდსა და მართალს. უზენაესი მსაჯულის ტახტს განაგებდა სწორუპოვარი ლომია, რომელიც „ბრძენთა ბრძენის“ პოზით. ქვას-ქვაზე არ ტოვებდა და მინასთან ასწორებდა ყველაფერს, რაც მის ღვთებრივ მოვლინებამდე იყო შექმნილი. შავმა ღრუბელმა დაფარა საქართველოს ცა.

წარსულის ცინიკური უარყოფითა და დამსახურებულ ადასტურებას მიმართ ზღვარგადასული უდიერი მოპყრობით ლაგამშიშვებული „უსწავლელი სწავლულები“ მზაკვრობის შესასუსტებლად დაუკვირისპირე „გრაფე პარანომონ“ (მაგრამ ცივილიზაციის „მწვერვალზე მონავარდენი“, ამგვარი პრობლემებით თავს არ ინუხებდნენ).

გრაფე პარანომონ ელადში კანონის უზენაესობის სადღეებელი იყო. ცნობილია, რომ დემოკრატიის სამშობლო ათენში სახალხო კრებაზე ყოველი წლის დასაწყისში დაისმებოდა საკითხი, საჭიროდ ხომ არ მიგაჩნდათ მოქმედ კანონებში ცვლილებების შეტანაო. თუ რომელიმე სრულფასობიანი მოქალაქე დააყენებდა კანონის შეცვლის აუცილებლობას, უფლება ჰქონდა წარმოედგინა ახალი პროექტი. წარმოდგენილ პროექტს რამდენიმე ავტორიტეტული კომისიის ხელში უნდა გაეცლო. შემდეგ სახალხო კრებას დაუბრუნდებოდა. კრებაზე განხილვისა და ფარული კენჭისყრის შემდეგ პროექტი იქცეოდა კანონად. მაგრამ ამის შემდეგ იწყებოდა პროცესი, რაც ჩვენი ინტერესის მთავარ მიზანს წარმოადგენს. თუ ერთი წლის განმავლობაში კანონებში შეტანილი ცვლილებებში დემოკრატიის საწინააღმდეგო წინასწარგანზრახული გადახრები აღმოჩნდებოდა, პროექტის ავტორი მართლმსაჯულების სკამზე აღ-

მოჩნდებოდა. მისი საქმე განსახილველად გადაეცემოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. პროექტის ავტორს 500 მოსამართლის წინაშე (ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 500 წევრისგან შედგებოდა) უნდა დაეცვა თავისი შეტანილი ცვლილებები. რადგან საქმე სასამართლოს გადაეცემოდა, ეს ნიშნავდა იმას, რომ ბრალდება გამოკვეთილი იყო, განხილვებოდა გრაფე პარანომონის ხარისხი. მოსამართლენი დაადგენდნენ, პროექტის ავტორი წინასწარ განზრახვით შეეცადა დემოკრატიის შეცდომაში შეყვანას, თუ გადახრა უნებლიეთ მოუვიდა. თუ კანონის დარღვევა დაუმტკიცდებოდა, განუსაზღვრებოდა სასჯელის სხვადასხვა ზომა დანაშაულის სიმძიმედან გამომდინარე. მცირე გადახრისათვის არსებობდა ფულადი ჯარიმა. განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავდნენ მოქალაქის უფლებების ჩამორთმევას (ატიმოვას), განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. გრაფე პარანომონით გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯაც. ასე იცავდნენ

ავრიკის იმ ტომების გზას, რომლებშიც კაცის ხორცის ჭამა დიდი ხნის გადაგდებული არ არის. ვგრძნობდით, რომ გვიასლოვდებოდა მეორედ მოსვლის წინა დღე. გონარეულები გონიერებს მოუწოდებდნენ გონიერებისაკენ, უნიგნურები თავს თვლიდნენ ბრძენთა-ბრძენებად. ცოდვა-მადლის გამკითხავი არ ჩანდა, ბოროტებასთან შერკინებას ყველა გაურბოდა. მხოლოდ რამდენიმე არ შეუპოვარ ურჩხულთა თარეშს.

დამნაშავე ნაციონალები ისეთი რისით პოზიორდნენ, თითქოს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ძღვევამოსილად მოეგოთ.

ზარ-ზეიმით მიღებულმა განათლებისა და მეცნიერების კანონმა ვერ გაამართლა. ჩვენი აზრით, ამიტომ მოვუხმობდი ათენურ გრაფე პარანომონს, როგორც თავდაცვის საშუალებას, მაგრამ **იმდროინდელი პროტესტი რჩებოდა ხმაელ მლაღადებლისად. მაგრამ იგივე სასჯელი ხომ უნდა გაიზიარონ იმათ, რომლებიც წარბშუხრელად გვიმტ-**

სულში დაიწყო, როდესაც ადამიანები თიხის ფორფიტებსა და ქვებზე კანრავდნენ თუ კვეთდნენ თავიანთ პრიმიტიულ ნაზრევს. და პროცესი დღემდე არ დამთავრებულა. სანამ კაცობრიობა იარსებებს, განათლებაც მასთან ერთად მუდმივი ცვლილებების პროცესში იცოცხლებს. არავინ დაეჭვებულა იმაში, რომ საქართველოში განათლება და მეცნიერება რეფორმას არ საჭიროებდა, მაგრამ არა იმ სახით, როგორც მოგვაგვიყვას თავს ნაციონალებმა. დაანგრეს არსებული, ჩაანაცვლეს გაუგებრობა და ეს გაუგებრობა რეფორმად შემოგვასალეს. ამ ბლევის საზემოდ მიღება საზოგადოების დაზღუნებების მცდელობაზე მეტყველებს. ჩვენს სინამდვილეში მეცნიერებისა და განათლების რეფორმა იყო ძლიერთა ამა ქვეყნისათა დანაშაულებრივი ქმედება. მსგავსი დანაშაული-სათვის გამოიგონეს ბრძენმა ბერძენებმა გრაფე პარანომონი. საქართველოში ჩადენილი დანაშაული შერჩა ყველას და რაც ყველაზე სავალალოა, დანაშაულს დანაშაულის კვალიფიკაცია დღემდე არ მისცემია, იგივე ქონდაქრები გვარიგებენ ჭკუას და მედიდურად ყელყელოებენ. **ეს არსებები დარწმუნებული არიან, რომ დიდებული საქმე ჩაიდინეს. ეს ცრუ რეფორმატორები შერწყნენ ოცნებას და გაერთიანებული ძალებით მიეჩინებენ განათლებასა და მეცნიერებას ახალი გაუგებრობისაკენ, რომლის ბოლო გაჩერება სად არის, კაცმა არ იცის.**

ამიტომ მოვიტხოვ დღესაც: **გრაფე პარანომონ, რომ ხვალ მსგავსი სახის დანაშაული სხვამ არ ჩაიდინოს.** მაგრამ თემიდას სძინავს. ველოდებით, როდის გაიღვიძებს. კანონი რომ კანონობდეს, ყალბისმქმნელები საკადრისად უნდა დასჯილიყვნენ, მაგრამ ჯერჯერობით კანონი ეშმაკის მხარეზეა.

ვიდრე აღნიშნულ პრობლემაზე საუბარს გავაგრძელებდი, მიზანშეწონილად მიმაჩნია მცირე ექსკურსი კაცობრიობის წარსულიდან. განათლებულ საზოგადოებაში კარგად არის ცნობილი, თუ როგორ მიაღწიეს ძველმა ელითებმა მიუწვდომელი სიმაღლებს. ევროპული აზროვნების ფუძემდებელი თალეს მილეტელი (ერთ-ერთი უპირველესი შვიდ ბრძენთაგანი) სავალდებულოდ თვლიდა, ბერძენ ახალგაზრდებს შინაურ გარემოში მოღებულ განათლებას შეეფოსთ აღმოსავლური კულტურის (ეგვიპტურ-ბაბილონური) მონაპოვართ. თალესის რჩევით გაემგზავრა ეგვიპტეში გენიალური პითაგორა, რომლის სახელთან ადამიანური შესაძლებლობების გადალახვა დაკავშირებულია. თანამედროვე მეცნიერებაში არ დავობენ იმის შესახებ, რომ ძველ აღმოსავლეთში არსებობდა უზარმაზარი ცოდნა, მაგრამ არ არსებობდა მეცნიერება. ბერძენები გაეცნენ იდუმალეობით მოცულ აღმოსავლეთს. მეცნიერება სავსებით სამართლიანად ითვლება ბერძენთა გამოგონებად. ამ სინთეზზე (აღმოსავლურ-ელინურზე) ამოიზარდა ის უნივერსალური და მარადიული ღირებულება, რომელიც ბერძენული საოცრების სახეობით დამკვიდრდა კაცობრიობის ისტორიაში. აღნიშნული გადახვევა იმის გამო გავაკეთე, რომ ელინური საოცრების გარიჟრაჟზე დაბადებული მოდელი პოპულარული იყო და არის ყველა ეპოქაში. ამერიკელები დღესაც სწავლობენ ევროპაში და ევროპელები — ამერიკაში, მაგრამ ეს პროცესი არც ერთ ქვეყანაში ხაზგასმულ პრივილეგიას არ წარმოადგენს (ვინმეს თუ შეუძლია დაასახლოს გერმანელი ან ფრანგი, რომელიც ამერიკაში ფუნთუშებს აცხობდა და იმის გამო, რომ ინგლისური იცოდა, გერმანიასა და საფრანგეთში მინისტრად დაენიშნო? ჩვენს სინამდვილეში ეს გაუგებრობა ურყევადაა შენარჩუნებული). საქართველო ყოველმხრივ განსხვავებულ და განსაკუთრებულ ქვეყანას წარმოადგენს. უცხოური დიპლომა (თუ სერტიფიკატი) მომწესხველად მოქმედებს. საშუალო მონაცემების გადიდვაცხებულმა თავი მართლა ჭკვიანად წარმოიდგინა და ათასგვარი სისულელე ჩაიდინა (კადრების ამგვარი ბრძნული შერყვის წყალობით მინისტრად გვეყავდა კაცი, რომელიც ხარსა და ძროხას ვერ არჩევდა).

სხვა მინისტრი კიდევ უფრო შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა და აგვისონა, ორმოცი წლის კაცი კი არა, ხეც მოსაჭრელიაო. გავუძელით ამ უბედურებათა ნიაღვარს, მაგრამ სინათლე არ ჩანს.)

**ბრანი ძაძიბარია**  
დასასრული იქნება

# მნბრკეპეღაბი და ბათი ბეპკვიდრენი

ათენელები თავიანთ კანონებს 2500 წლის წინათ. დღევანდელ განათლებულ საქართველოში თბილისის უნივერსიტეტის პროფესორებმა, ევროპული „სტანდარტებით“ მოაზროვნე ლომია-ხუბუშასაგან ვერც კანონები დაიცვეს, ვერც უნივერსიტეტი და ვერც საკუთარი თავი (ყალბისმქმნელებისათვის პასუხი არავის მოუთხოვია).

კანონი, რომელსაც ქართული მეცნიერებისა და განათლების ამაღლება და ევროპულ დონესთან მიახლება ეკისრებოდა, გაამართლა მაღალფარდოვანი გაზეპირებული სიტყვებით საქმე არ კეთდება და არაფერი რომ არ გაკეთებულა დღესავით ნათელია. ვინმე იფიქრა იმ გამორუდებული კანონის ავტორის პასუხისმგებლობაზე?


ძველ ათენში კანონის დამრღვევი მკაცრად ისჯებოდა (ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეა დღესაც). საქართველოში კანონი არ კანონობს. ქართველმა ვაირეფორმატორებმა განათლებისა და მეცნიერების „რეფორმა“ უნივერსიტეტის ნგრევა-დარბევით დაიწყეს, რომელსაც ცეცხლითა და მახვილით ძერწავდა „ღვთაებრივი ძალმოსილებით“ აღჭურვილი „მნიგნობართუხუცესი“ მინისტრი ლომია (და მისი ხელის ბიჭი რექტორი ხუბუა). გაიმარჯვეს ბნელმა ძალებმა, „სიახლის“ შექმნა ცეცხლითა და მეცნიერების ის დონე, რომელსაც ბრიყვნი და უგუნურნი საბჭოურს უწოდებდნენ, ძირფესვიანად ამოძირკვეს და მის ნაცვლად, გადამთიელი ჭკულისდამრიგებლების „ბრძნული“ რჩევებით ერი გაუყენეს ცენტრალური




კიცებენ და ამართლებენ რეფორმას. მდგომარეობა რომ არ იცვლება, იმას დუმილით უფლიან გვერდს.

ჯოჯოხეთის მოციქულებმა მტრული განზრახვა სისრულეში მოიყვანეს პოლიციის გაძლიერებული რაზმების გამოყენებით, თითქოს დიდ ანტისახელმწიფოებრივ ძალასთან ჰქონდათ საქმე. დასახული მზაკვრობა ეშმაკის ნაშიერებმა ჩინებულად რომ შეასრულეს, მეტყველებს უნიგნურთა რიცხვის კატასტროფული გაზრდა. **რისი იმედი უნდა გვექონოდა, როდესაც მეცნიერებისა და განათლების მინისტრმა ახალგაზრდობა თავისი ბნელი აზრებით დამოძღვრა: წიგნის ეპოქა დამთავრდაო.** ეს იყო უდიდესი დანაშაული ცივილიზაციის წინაშე და ეს სიტყვები ქართული განათლების ევროპულ სივრცესთან მიახლოების მთავარ „იდეოლოგს“ ერმა შეარჩინა და „მნიგნობართუხუცესობის“ პერიოდში ტელევიზიების ეკრანებიდან ამ ეშმაკული სიტყვებით ამაცობდა, თითქოს ახალი პლანეტა აღმოეჩინოს.

განათლების რეფორმა იმ შორეულ წარ-



**ცნობილია, რომ დემოკრატიის სამშობლო ათენში, სახალხო კრებაზე, ყოველი წლის დასაწყისში დაისმებოდა საკითხი, საჭიროდ ხომ არ მიგაჩნდათ მოქმედ კანონებში ცვლილებების შეტანაო. თუ რომელიმე სრულფასობიანი მოქალაქე დააყენებდა კანონის შეცვლის აუცილებლობას, უფლება ჰქონდა წარმოედგინა ახალი პროექტი. წარმოდგენილ პროექტს რამდენიმე ავტორიტეტული კომისიის ხელში უნდა გაეცლო, შემდეგ სახალხო კრებას დაუბრუნდებოდა. კრებაზე განხილვისა და ფარული კენჭისყრის შემდეგ პროექტი იქცეოდა კანონად. მაგრამ ამის შემდეგ იწყებოდა პროცესი, რაც ჩვენი ინტერესის მთავარ მიზანს წარმოადგენს. თუ ერთი წლის განმავლობაში კანონებში შეტანილი ცვლილებებში დემოკრატიის საწინააღმდეგო წინასწარგანზრახული გადახრები აღმოჩნდებოდა, პროექტის ავტორი მართლმსაჯულების სკამზე აღ-**



სტოკჰოლმი. მემორიალური დაფა სახლზე, სადა ალექსანდრე ბაგრატიონი ცხოვრობდა.

საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ სტოკჰოლმის სტამბაში ალექსანდრე რამდენიმე ცალად ქართული ანბანი დააბეჭდინა, რომელიც შემდეგ მან დატყვევებული გენერლებმა ურთიერთშორის დაშიფრული მიმონერისათვის გამოიყენეს, რამაც, ბუნებრივია, შვედეთის მთავრობის მკაცრი რეაგირება გამოიწვია და უარყოფითად იმოქმედა მალალჩინოსანი რუსი ტყვეების გაცვლაზე. რეალური ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ პოლტავის ბრძოლის შემდეგ გაჩნდა, როდესაც 1710 წელს მხარეთა შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, კერძოდ, ალექსანდრე ბაგრატიონის გაცვლაზე პოლტავასთან ტყვედ აყვანილ შვედეთის პრემიერ-მინისტრ გრაფ კარლ პიპერზე, მაგრამ გაცვლა ვერ განხორციელდა შემდეგი მიზეზის გამო. ალექსანდრე იმდენად ესწრაფოდა მშობლებთან და ახლო ნათესავებთან შეხვედრას, რომ არ დაუცადა გაზაფხულის დადგომას და რუსეთ-შვედეთის საზღვრისკენ 1710 წ. მოახლოებულ ზამთრის პირობებში გაემგზავრა. გზაში ალექსანდრე ბაგრატიონის ავად გახდა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე შვედეთის ქალაქ პიტოში გარდაიცვალა. მისი ცხედარი დიდი პატივით მოსკოვის დონის მონასტერში არჩილ მეფის მიერ დაარსებულ მირქმის ეკლესიაში დაკრძალეს. ერთგვარი კმაყოფილების გრძობით გვსურს აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის სლოგან ჩვენს მიერ დაფუძნებული ალექსანდრე და პეტრე ბაგრატიონების სახელობის საერთაშორისო ფონდის თაოსნობით აღინიშნა მემორიალური დაფების დაყენებით ჰოლანდიის ქალქ ზაანდამში არსებულ პეტრე I-ის სახლ-მუზეუმზე (1994წ.) და სტოკჰოლმის ცენტრში მდებარე ისტორიულ შენობაზე („რენტ-მესტარპიუზეტ“), სადაც ალექსანდრე ბაგრატიონმა თავისი ცხოვრების ბოლო ათწლეული გაატარა (1996წ.). ამავე ფონდის თაოსნობით 1999 წელს მოსკოვის კუთხოვრის პროსპექტზე აღიმართა ძველი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის, რომელმაც, ალექსანდრე ბაგრატიონის კვალობაზე, თავი შესწირა რუსი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ნარკვევით ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის შესახებ დავასრულებ ჩვენი მცირე გამოკვლევას სამი პირველი ქართველი დასავლეთეუროპელის შესახებ, რომლებსაც სათანადო დასაბუთებით მივაკუთნებთ აგრეთვე ქართველთა სიძე და დახვე-

წილი დასავლეთეუროპელი პეტრო დელა ვალე. ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს, რომ ზემოთ მითითებულ ქართველ და იტალიელ დასავლეთეუროპელებს მივაკუთნოთ აგრეთვე ამ ცნების სრულად გამომხატველი ისეთი ისტორიული პიროვნებაც, როგორც იყო პეტრე I – საქვეყნოდ ცნობილი პეტრე დიდი. მისი ქართული წარმომავლობა (დედით რუსი გახლდათ) არც თუ დიდი ხნის წინ ჩვენს მიერ საზღვარგარეთ გამოვლენილმა ფაქტობრივმა მონაცემებმა და მათ საფუძველზე შექმნილმა სათანადო ჩვენმა პუბლიკაციებმა დაადასტურა (იხ. ჩვენი ნაშრომების რუსულენოვანი შვიდტომეულის მეორე ტომი: „ალექსანდრე ბაგრატიონის ცხოვრება და მოღვაწეობა“, მოსკოვი, „ნაუკა“, 2003, გვ. 635-705 და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მაცნე“, 2013, №2-4). წინამდებარე გამოკვლევის მეორე თავად წარმოვადგენთ ზემოთ მითითებული ჩვენი ქართულენოვანი პუბლიკაციის შემოკლებულ და სახეცვლილ ნაწილს, რომელიც უშუალოდ ეხება პეტრე დიდის წარმომავლობას.

ადრეული დროიდან მოყოლებული, მსგავსი შემთხვევები გვირგვინოსანთა წრეებშიც ხდებოდა. საკმარისია გავიხსენოთ სოფოკლეს ცნობილი ტრაგედია, ან ინგლისის დედოფლის ელისაბედ ტიუდორისა და ამ ქვეყნის დიდგვაროვანის რობერტ (ლესტერ) დადლისგან ცნობილი ფილოსოფოსის ფრენსის ბეკონის გასაიდუმლოებული წარმომავლობა, აგრეთვე ამ ფაქტთან დაკავშირებით მეტად დამაჯერებელი, თუმცა დღემდე სავარაუდო ვერსია ამ უკანასკნელისა და სტრადფორდელი უილ შაქსპერის, ანუ უილიამ შექსპირის იდენტიფიცირებისა და სხვ. იმასაც აღვნიშნავ, რომ „კანონიერი“ თუ „უკანონო“ წარმომავლობა ადამიანის ცხოვრებისეული მოვლენა, ისევე როგორც ბევრი რამ სხვა... ამ პრობლემისადმი რაიმე გამაღვივებელი ინტერესი არასოდეს მქონია, ვიდრე ერთ შემთხვევამდე, რომელმაც ვითარცა ისტორიკოსი იძულებული გამხადა მეტად საინტერესო მსგავსი ფაქტის მიმართ ყურადღება გამემხვილებინა, რადგან იგი ჩვენს ისტორიას უშუალოდ უკავშირდება.

ბაში, სადაც ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერისა და ამსტერდამის ბურგომისტრის ნიკოლას ვიტსენის პირად ფონდში მეტად საინტერესო დოკუმენტური მასალა აღმოჩნდა ვიტსენის კავშირ-ურთიერთობაზე არჩილ II-სთან და მის ვაჟთან ალექსანდრე ბაგრატიონთან. ერთ დღეს, გვიან საღამოს, როდესაც ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება უკვე ამთავრებდა მუშაობას, ჩემს მაგიდასთან მოვიდა ამ განყოფილების მაშინდელი ხელმძღვანელი – ისტორიკოსი კეეს პნირევი, ვისთანაც კეთილმეგობრული ურთიერთობა მაკავშირებდა. მან მთხოვა მის ოთახში შევსულიყავი და თვალი გადამეცოწინა ნიგნისათვის, რომელიც მან შემთხვევით აღმოაჩინა ძველი ნაბეჭდი ნიგნების კოლექციაში და რომელიც საათაურის მიხედვით საქართველოს ისტორიას ერთგვარად უკავშირდებოდა.

შედარებით მცირე ფორმატის ნიგნი 1723 წ. სტოკჰოლმში გამოქვეყნებული კავკასიისმცოდნეობის პროფილის ისტორიული შინაარსი გამოკვლევა აღმოჩნდა, რომლის პირველი ნაწილი სომეხ-

ჯუანხერ ვატიაქე

პინ იყვინა

პირველი ქართველი

დასსკლეთეპროპელაში?

პეტრე დიდი - ბაგრატიონთა შთამომავალი?

პეტრე დიდის წარმომავლობის საკითხისათვის

ადამიანს შედარებით ადრეული ასაკიდან გარემოს შეცნობასთან ერთად ამქვეყნიური ცხოვრების შესახებ არაერთი ფილოსოფიური შინაარსის პასუხგაუცემელი კითხვა ებადება, ან ძნელად დასახსნელი სენტენცია უყალიბდება. მაგალითად, იდუმალებით მოცულ კითხვაზე: „ჩვენ არ ვიცით საიდან მოვიდვართ ან სად მივდივართ (აქაურიდან მომავალ ცხოვრებაში)?“ მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი არ არსებობს... უკეთეს შემთხვევაში ჭეშმარიტად მხოლოდ ის ვიცით, ვისი შვილები ან შთამომავლები ვართ, უარესში კი არც ეს ვიცით და ასეთი გაურკვეველობა მხოლოდ „უბრალო მოკვდავთა“ ხვედრი როდია. საკმაოდ ხშირად,


საუბარია პეტრე პირველის, ანუ პეტრე დიდის გენეტიკური წარმომავლობის პრობლემაზე, რომელიც, როგორც იტყვიან, „არახალია“. ეს პრობლემა ამ სახელმძღვანელო გვირგვინოსნის ეპოქაშივე ჩაისახა და, როგორც ამას რუსული ისტორიოგრაფია ადასტურებს (იხ. იაკობ დოლგორუკის მოგონება და სხვ.), თვით მას, ამ უზადლო რეფორმატორ მეფეს, დიდად ადვლავებდა. ჩემი თაობის წარმომადგენლებს ალბათ კარგად ახსოვთ, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ქართველ საზოგადოებაში, უმთავრესად სამწერლო და სამეცნიერო წრეებში, თანდათან აზვირთდა მითქმამოთქმა პეტრე პირველის ქართული წარმომავლობის შესახებ, რაც შემდეგ მთარულ ლეგენდად იქცა, თუმცა ამ ვერსიის დამამტკიცებელი რაიმე ხელშეახები საბუთი არ ჩანდა. ცოტა მოგვიანებით, ისევე მითქმა-მოთქმის დონეზე, ვერსიის წარმომავლობა მწერალ ალექსეი ტოლსტოის სახელს დაუკავშირდა, რომელმაც სწორედ ამ წლებში განაახლა მუშაობა თავისი შესანიშნავი ნაწარმოების „პეტრე პირველის“ მესამე ნიგნზე (პირველი ორი ნიგნი 1929-1934წწ. დაიწერა), რის გამოც მას პეტრესდროინდელი ეპოქის საფუძვლიანი ათვისების მიზნით ხშირად უხდებოდა ე.წ. „ცგადას“ (ანუ მოსკოვის ძველი საბუთების სახელმწიფო არქივის) შესაბამისი ფონდების გაცნობა. ამგვარად, ვერსია პეტრე პირველის ქართული წარმომავლობის შესახებ იმ სავარაუდო მოსაზრებას დაემყარა, რომ სწორედ ამ მწერალმა მიაკვლია არქივში „მამხილებელ“ საბუთს, მაგრამ ვარაუდი ვარაუდადვე დარჩა, თუმცა ნიშანდობლივი ის გარემოებაა, რომ სწორედ ამ წლებში (1945-1946 წწ.) ინფორმაცია აღინიშნული ვერსიის შესახებ საბჭოეთის ფარგლებს გასცდა და გერმანულ პრესაშიც აისახა, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.



პეტრე I

თის ისტორიის ცალკეული ეპიზოდების ზოგად მიმოხილვას წარმოადგენდა მოვსეს ხორენაცის ცნობილი ნაწარმოების მიხედვით, ხოლო მეორე ნაწილი ეხებოდა იბერიის (საქართველოს) გვირგვინოსანთა უძველესი დროიდან მომდინარე გენეალოგიას. სტოკჰოლმში გამოქვეყნებული ნიგნის ამ მონაკვეთის შინაარსს ნაწილობრივ ქვემოთაც არაერთგვის დავიმონებთ, აქ კი იმას აღვნიშნავთ, რომ მის შემდგენელად და თანდართული კომენტარის ავტორად მითითებული იყო ჩვენთვის უკვე ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე ჰენრიკ ბრენერი, რომელიც შვედეთში ტყვედმოყოფი ალექსანდრე ბაგრატიონის გარემოცვაში ერთ-ერთი ახლო მეგობარი იყო.

ალექსანდრე ბაგრატიონსა და ჰენრიკ ბრენერს შორის მეგობრულმა ურთიერთობამ სათავე დაიდო XVII ს. 90-იანი წლების შუახნიდან, როდესაც ეს უკანასკნელი უზსალის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის განხრით კურსდამთავრებული სამუშაოდ მოსკოვის შვედურ რეზიდენტურაში



ჰოლანდია. ზაანდამი. პეტრე I-ის სახლ-მუზეუმი



ალექსი I

გამწესეს. მათი კონტაქტები „ნემეცკაია სლობოდაში“ ჩაისახა, სადაც პ. ბრენერი სხვა უცხოელებთან ერთად ცხოვრობდა და სადაც პეტრე I ქართველ ბატონიშვილთან ერთად ხშირად ჩადიოდა, დასავლური ცხოვრების წეს-ჩვეულებებს ეცნობოდა და რუსული ცხოვრების მიმართ რეფორმატორული სულისკვეთებით იმსჯელებოდა. ჰენრიკის და ალექსანდრეს მეგობრული ურთიერთობა შემდგომ მოსკოვშიც გაგრძელდა ამ უკანასკნელის „ოხოტნი რიადზე“ მდებარე სასახლესა და მის მამულში, სოფელ ვსესვიატსკოეში. ეს მცირეოდენი გადახვევა უკვე დაწყებული ჩვენი მოთხოვნიდან პეტრე I-ის წარმომავლობის პრობლემასთან დაკავშირებით იმიტომ დაგვიჩინდა, რომ სწორედ სტოკჰოლმში ჰენრიკ ბრენერის გამოქვეყნებული ნაშრომის დასკვნითი ნაწილი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ბურუსით მოცულ ამ საკითხს გარკვეული ნათელი მოეფინოს. ავტორისეული ზოგიერთი მეცნიერულად ფასეული დაკვირვება, როგორც აღწერილ მოვლენათა თანამედროვეობა, იმის შესაძლებლობასაც იძლევა, რომ განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებული ადრეული და ბოლო დროს გამოვლენილი ფაქტობრივი მასალა და სპეციალური ლიტერატურის სათანადო მონაცემები ახლებურად შეჯერდეს, სისტემურად წარმოჩინდეს და ურთიერთშემავსებელი გახდეს. ამის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ზოგიერთი ახალი, ჩვენი აზრით, მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ახლა კი დავუბრუნდეთ პეტრე I-ის წარმომავლობის პრობლემის განხილვას. პირველი, ანუ მთავარი ვერსიის თანახმად, იგი არ იყო მეფე ალექსი მიხეილის ძე რომანოვის ნამდვილი შვილი, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსული ისტორიოგრაფიაშიც აისახა. რა საფუძველი აქვს ასეთი ვერსიის არსებობას? თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხზე შემდეგი მოსაზრებაა გამოთქმული: „**პეტრე 1672 წ. 30 მაისს დაიბადა მეფე ალექსი მიხეილის ძის მეორე ქორწინების შედეგად ნატალია კირილეს ასული ნარიშკინაზე. ჯანმრთელობითა და სიმკვირცლით (ხასიათისა) იგი მკვეთრად განსხვავდებოდა თავისი უფროსი ძმებისაგან – თევდორე და ივანე-საგან, რომლებიც (მეფის) მილოსლავსკაიაზე ქორწინების შემდეგ დაიბადნენ (მამის გარდაცვალების შემდეგ თევდორე ტახტზე 1676 წ. ავიდა და გარდაიცვალა მაშინ, როდესაც 22 წლის ასაკამდე ერთი თვე აკლდა; ივანე დაბადებიდანვე ავადმყოფი და (სახელმწიფოს) მმართველობისათვის უუნარო იყო) და ხმები დაირხა, რომ მისი (პეტრეს) მამა ალექსი არ ყოფილა. რაიმე განმსაზღვრელის თქმა ამის თაობაზე არ შეიძლება, რადგან მილოსლავსკაიასა და დაბადებული მეფის ასული სოფიო ძალზე ენერგიულ ქალბატონად ითვლებოდა.**“

ვ. კლიუჩევსკი თავის ერთ-ერთ ნაშრომში წერდა, რომ „ნემეცკაია სლობოდაში“ ბევრს ლაპარაკობდნენ იმის თაობაზე, თუ რა დიდი პატივის მიგებით დააკრძალვინა პეტრემ 1699 წ. პ. გორდონი და ფ. ლეფორტი. ამასთან დაკავშირებით, მიუთითებდა რუსი ისტორიკოსი, „ხალხში ხმა გავრცელდა, რომ პეტრე „ლაფერტისა და ვილაც გერმანელი ქალის ნაბუშარი იყო, რომელიც დედოფალ ნა-

ტალიას მიუგდეს“; სხვა შემთხვევაში კლიუჩევსკი აღნიშნავდა, რომ „მეფეზე (პეტრე I-ზე) ამბობდნენ, რომ იგი ხალხის მტერია... მიგდებულია, ანტიქრისტი და ღმერთთა იცის, კიდევ რას არ ამბობდნენ მასზე“.

როგორც ირკვევა, მითქმა-მოთქმა პეტრე I-ის უკანონო წარმომავლობაზე პ. გორდონისა და ფ. ლეფორტის დაკრძალვამდე ბევრად უფრო ადრე ყოფილა ხალხში გავრცელებული მეფე-რეფორმატორის თითქმის დაბადებიდანვე მოსკოვში სწორედ ამ დროიდან გაჩენილა ე.წ. შეგდებული („პოდმჰინთე“) წერილები, რომლებშიც ახალშობილი უფლისწულის წარმომავლობა სხვადასხვანაირად ყოფილა განქიქებული. როგორც ჩანს, სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი სიმეონ პოლოცკის, გამოქვეყნებულა „სპეციალური“ ნაწარმოები, სადაც ნათქვამი იყო, რომ პეტრეს დაბადების წინ ცაზე ვარსკვლავთა განლაგებამ იგი „შთააგონა“ ეწინასწარმეტყველა პეტრე ალექსის ძის დაბადება ისააკ დალმაციელის დღესასწაულის დღეს. მოზრდილი ტირაფით გამოქვეყნებული ეს „ნაწარმოები“ ერთგვარი სოციალური დაკვეთა გახლდათ მონარქის შელახული სახელის აღსადგენად და შესაბამისი მთარული



ნატალია ნარიშკინა

ხმების დასათრგუნად. როგორც ირკვევა, ს. პოლოცკის „წინასწარმეტყველებამ“ ზოგიერთი თანამედროვე შთააგონა, აზრი გამოეთქვა მის შესახებ (მაგალითად, პეტრე კრეკვინის გამონათქვამი და სხვ.), რაც XIX ს. ცნობილ კრებულში („Записки русских людей“) აისახა. საინტერესოა ამ კრებულის გამომცემელთა სკეპტიკური დამოკიდებულება „წინასწარმეტყველებისადმი“, რომლებიც აღნიშნავდნენ: „**თანამედროვენი პოლოცკის მიანერგნ წინასწარმეტყველებას პეტრე დიდის დაბადების შესახებ... ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ეს წინასწარმეტყველება კი არა, შემდეგ გავრცელებული ხმა იყო.**“

იბადება კითხვა: რას ეფუძნება პეტრე I-ის დაბადებასთან დაკავშირებული ეს მითქმა-მოთქმა, ისევე როგორც მითითებული შეგდებული წერილები და „წინასწარმეტყველება“, რომელნიც გამსჭვალული იყვნენ მონარქის ღირსების დაცვის პირფერული მცდელობით? მეფე ალექსი მიხეილის ძე მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი იყო. როგორც თანამედროვენი აღნიშნავდნენ, ბავშვები ერთი მეორის მიყოლებით ჩნდებოდნენ და XVII ს. 60-იან წლებისათვის მათმა რაოდენობამ 12-ს გადააჭარბა (პეტრე ალექსის ძე მეთოთხმეტე შვილად ითვლებოდა). ცნობილი პოლანდიელი მეცნიერი ნიკოლაას ვიტსენი, რომელიც რუსეთს სწორედ XVII ს. 60-იან წლებში ეწვია პოლანდიური ელჩობის შემადგენლობაში ი. ბოჩევის მეთაურობით, თავის საგზაო ჩანაწერებში აღნიშნავდა: „**მჭვ-გარეშეა, რომ მეფე (ალექსი მიხეილის ძე - ჯ.ვ.) ზედმინევიით ღვთისმოსუშია. ამბობენ, რომ იგი არასოდეს ყოფილა მთვრალი, მეტად უმნივკლოდ ცხოვრობს. გარდა ამისა, არ ცნობს სხვა ქალებს და საკუთარი ცოლისგან მარხვის დღეებში სრულიად თავს იკავებს; ამბობენ კიდევ, რომ მას საერთოდ იშვიათად ხვდება, მთელი წლის განმავლობაში ოთხჯერ თუ ხუთჯერ, მაგრამ თითქმის ყოველწლიურად შვილი უჩნდება.**“

(ბაზრქალაბა შეპაბ ნომერში)



## პრემია „საბას“

### ახალი გამარჯვებულები

**ლიტერატურული პრემია „საბას“ რიგით მე-15 საზეიმო დაჯილდოება თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიმართა.**

ცერემონიაზე „საბას“ ჟიურიმ წლევიანდელი გამარჯვებულები 11 ნომინაციაში დაასახელა:

#### საუკეთესო რომანი

ალეკო შულაძე – „გადამალვა“

#### წლის საუკეთესო პროზაული კრებული

რუსუდან რუხაძე – „ერთი თქვენგანი გამცემს“

#### საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა

ნანა ტრაბაიძე – „ლიტერატურა და ლიტერატურა“.

#### საუკეთესო ესეისტიკა და ლოკუმენტური პროზა

ლევან ბერძენიშვილი – „ნიგნიერების ევოლუცია“.

#### საუკეთესო ლექსი

ბექა ახალაია – „ამ ვალმოხდელი ფოთლებისთვის“.

#### მკითხველის რჩეული რომანისათვის „საუკეთესო ლექსი“

ზურა აბაშიძე – „როგორ მოვკლათ ბილი ელიოტი“.

#### საუკეთესო ელექტრონული ნიგნი

ანდრო ბუაჩიძე – „გაზაფხული მოდის ღამეში“ და ლუკა ბაქანიძე – „სად ხარ, ლაზარე...“

#### საუკეთესო ქართული თარგმანი

ხათუნა ცხადაძე – უმბერტო ეკოს – „ფუკოს ქანქარის“ თარგმანისთვის.

#### ქართული ნაწარმოების საუკეთესო უსოური თარგმანი

სიბილა შულცე – ანა კორძაია-სამადაშვილის „ვინ მოკლა ჩაიკას“ გერმანულ ენაზე თარგმანისათვის.

#### საუკეთესო პიესა

ლაშა თაბუკაშვილი – „სადღაც, ცისარტყელას მიღმა...“

#### საუკეთესო პოეტური კრებული

ვახტანგ ჯავახიძეს კრებულისთვის „ელეგია და სხვა“.

და ბოლოს, ლიტერატურული პრემია ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა პოეტ ლია სტურუას. წელს ლიტერატურულ კონკურსში „საბა“ 300 კონკურსანტი მონაწილეობდა, საიდანაც სამი თვის წინათ „საბას“ ჟიურიმ 47 ფინალისტი დაასახელა. გამარჯვებულებმა პრემიის დამფუძნებელი „თბილისი ბანკისგან“ „საბას“ პრიზი და სოლიდური ფულადი პრემიები მიიღეს. გარდა 11 ნომინაციისა, „საუკეთესო დებიუტის“ გამოვლენაში უკვე მეორე წელია, მკითხველებიც იყვნენ ჩართულები. წლევიანდელი „საბას“ მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ ნომინაციაში „საუკეთესო ელექტრონული ნიგნი“ გამარჯვებულ ნიგნს გამოცემლობა „პალიტრა L“ ბეჭდურად გამოსცემს. წელს პრემია „საბას“ მედიაპარტნიორები იყვნენ: პირველი არხი, რადიოპოლდინგი „ფორტუნა“, ტელეკომპანია „არტარეა“ და პალიტრა მედია.

## ტურიზმის ფესტივალი - „ბანდაბანა“ აჭარაში

6-7 ოქტომბერს ბათუმში სოფლის ტურიზმის ფესტივალი „განდაგანა“ გაიმართება. ორი დღის განმავლობაში ევროპის მოედანზე წარმოდგენილი იქნება აჭარული სოფლები თავისი პროდუქციით, ტრადიციებითა და სამზარეულოთი. სპეციალური დეკორაციებით მორთულ მოედანზე სტუმრებს საშუალება მიეცემათ აჭარულ სოფლებში ქალაქიდან გაუსვლელად იმოგზაურონ.

ფესტივალზე ღია ცის ქვეშ წარმოდგენილი იქნება რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სოფლის ნობათით, კერძებით, სუვენირებითა და რენვის ნიმუშებით, რაც ტურისტებსა და ტურისტულ სააგენტოებს წარმოდგენას შეუქმნით, თუ რისი ნახვა შესაძლებელი მაღალმთიან აჭარაში მოგზაურობისას. მოეწყობა სოფლად ტურიზმის, ეკოტურიზმისა და ღვინის ტურიზმის თემატური კუთხეები. გაიმართება აჭარის რეგიონში წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და უცნობი აჭარული კერძების პრეზენტაცია-დეგუსტაციები. ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართება კულინარიული მასტერკლასები, მხიარული კონკურსები და შეჯიბრებები. ევროპის მოედანზე მისული სტუმრების განწყობაზე კი ადგილობრივი ფოლკლორული ჯგუფები და მუსიკალური ბენდები იზრუნებენ.



# აფხაზეთისა და ოსების ჯანმრთელობა ქართველების ჯანმრთელობას არის!

## საქართველო ქვეყნის გარიგორიული მთლიანობის აღდგენისთვის ნიდაგს აწვადებს

რუსულ გამოცემა „ნებავისიმაია გაზეტას“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიამ განხილულია ქართველებსა და აფხაზებს შორის მიმდინარე კონტაქტები ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობისათვის საქართველოში უფასო სამედიცინო მომსახურებასა და განათლების მიღებას ითვალისწინებს: „აშშ-ის ელჩმა საქართველოში იან კელიმ ასეთი ტენდენცია პოზიტიურად შეაფასა“, – აღნიშნულია პუბლიკაციაში.

თბილისის ზრუნვა აფხაზეთის მოსახლეობისადმი დიფერენცირებულად უნდა იქნას განხილული: გალის რაიონში მცხოვრები ქართველებისთვის საქართველოში მკურნალობა ჩვეულებრივი ამბავია. რაც შეეხება აფხაზი ეროვნების მოსახლეობას, ამ შემთხვევაში მათ ოფიციალური თბილისი განსაკუთრებული ყურადღებით ხვდება და მათ საუკეთესო კლინიკებში მკურნალობენ.

საერთოდ, აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისათვის სამედიცინო დახმარების განცევის პროგრამა ახალი არაა და ის ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს დაიწყო, როცა, ერთმანეთთან დაპირისპირების ფაქტორის მიუხედავად, სამოქალაქო საზოგადოებებს შორის კონტაქტები მაინც საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობდა, მათ შორის არა მხოლოდ ჰუმანიტარულ, არამედ პოლიტიკურ საკითხებზეც. რასაკვირველია, იმ დროს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობაც მძიმე იყო და ის ბევრად არ განსხვავდებოდა უკონტროლო ავტონომიებში შექმნილი ვითარებისაგან, მაგრამ ხარისხობრივი მაჩვენებლებით ჯანდაცვა-განათლების სფეროში შექმნილი ვითარება მაინც საქართველოს სასარგებ-

ლოდ იყო. ცხადია, აფხაზებს და ოსებს ჰქონდათ ალტერნატივა – მათ შეეძლოთ რუსეთში წასვლა და იქ მკურნალობა, მაგრამ ასეთი ნაბიჯი ფინანსურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

სიტუაციამ თანდათანობით გაუმჯობესება დაიწყო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა საქართველოში ინვესტიციებმა იმატა, დაიწყო საგრანტო პროგრამების რეალიზება და კლინიკა-სავადმყოფოები ახალი ტექნიკით აღიჭურვნენ, შესაბამისად, ამალდა სამედიცინო მომსახურების დონე. პარალელურად იმატა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიმართებამაც დახმარების განცევის თაობაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ის იყო, რომ მკურნალობა ხარისხიანად და უფასოდ ხდებოდა, რაც უზრუნველყოფილი იყო სახელმწიფო სადაზღვეო პროგრამებით. საქართველოს ხელისუფლება აცხადებდა, რომ აფხაზები და ოსები ჩვენი მოქალაქეები არიან და მათაც ისეთივე სიკეთით უნდა ისარგებლონ, როგორც თავი დანარჩენი მოსახლეობა სარგებლობს. მაგრამ ამ ნაშრომებს ზიანი მიყენა გადაჭარბებულმა პიარ-კამპანიამ: ყოველი აფხაზი ან ოსი ეროვნების ადამიანის გამოჩენა ქართულ კლინიკა-სავადმყოფოებში პროპაგანდის ელემენტი ხდებოდა. ეს, ერთი მხრივ, პროპაგანდის უქმნიდა პაციენტებს უკან დაბრუნებისას, მეორე მხრივ კი, საქართველოს ხელისუფლება თავის იმიჯს იმალებდა საერთაშორისო არენაზე. რაც უფრო აქტიურად მუშაობდა მიხეილ სააკაშვილის პიარმანქანა, მით უფრო ნაკლები აფხაზი და ოსი მიმართავდა ქართველ ექიმებს. საბოლოოდ კი ეს სისტემა 2008 წლის აგვისტოს ომით „დაინგრა“ და მისი გამო-



ცოცხლება მხოლოდ 2012 წელს, საქართველოს ხელისუფლების შეცვლის კვალობაზე დაიწყო.

საინფორმაციო-ანალიტიკური გამოცემა JAM-ის მონაცემების თანახმად, 2017 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე მკურნალობის კურსი გაიარა აფხაზეთის 543-მა და სამხრეთ ოსეთის 322-მა მცხოვრებმა. პუბლიკაციაში ციტირებულია აფხაზეთის რესპუბლიკური სავადმყოფოს ექიმი, ქირურგი რუსლან სმირი, რომლის თქმით, ამ საკითხს ორი განზომილება აქვს – ჰუმანიტარული და პოლიტიკური. „მთავარი მიზეზი, რის გამოც აფხაზები იძულებული ხდებიან დახმარებისთვის ქართულ მხარეს მიმართონ, გამოისახება იმაში, რომ ნაწილობრივ აღიარებული რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ცუდ მდგომარეობაშია: არაა საკმარისი სამედიცინო აპარატურა, არაა კვალიფიციური კადრები... ადამიანი არჩევანის წინაშე დგება, სად წავიდეს – რუსეთში თუ საქართველოში. თბილისი ჩვენი მოქალაქეებისთვის უფასო მკურნალობის მიმზიდველ პირობებს ქმნის, ჰოდა, ისინიც იქ მიდიან“, – ამბობს რუსლან სმირი. საქართველოში მკურნალობის მაღალ ხარისხზე ლაპარაკობენ აფხაზეთის რიგითი მოქალაქეებიც, თუმცა ისინი იქვე უმატებენ: „რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი პოლიტიკის გარეშე არ ხდება“.

ყიდვა... მაგრამ ეს პროგრამა არ მუშაობს. ჩვენთან ყოველწლიურად ასობით აფხაზი და ოსი მკურნალობს, მაგრამ ამით მათი ლოიალობა არ მატულობს. პირიქით, უკან დაბრუნებისას ისინი ისეთი სახით იწყებენ თავის მართლებას, რომ ლოიალობის ნიშანწყალი არ ჩანს. აფხაზურმა საზოგადოებამ ასეთი განმარტება მოძებნა: „საქართველო ვალდებულია მათ სამედიცინო მომსახურება გაუწიოს. ეს კეთილი ნება კი არ არის, არამედ იმის კომპენსაციაა, რა ზარალიც მიყენეს ქართველებმა აფხაზებს“. როგორც ჟურნალისტი აღნიშნავს, სოციალურ ქსელებში აფხაზებისა და ოსების პოზიციების გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს საქართველო აფხაზების წინაშე ვალს იხდის. „ეს პროგრამა უნდა შეჩერდეს, წარუმატებლად უნდა ჩაითვალოს. მე არ ვარ წინააღმდეგი, რომ საქართველოს კონკრეტულმა კლინიკებმა შეღავათები დაუწესონ ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას. მათთვის ეს მაინც იაფი მომსახურება იქნება იმასთან შედარებით, რასაც ისინი რუსეთში იხდიან... კი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებლობას ესწრაფვიან, მაგრამ მათ ისიც უნდა იცოდნენ, რომ დამოუკიდებლად ცხოვრებას ერთი დიდი მინუსი აქვს: პასუხისმგებლობა ყოველ საკუთარ ნაბიჯზე“, – წერს თენგიზ აბლოთია და თუ კომენტარების მიხედვით ვიმსჯელებთ, მას ბევრი ეთანხმება.



**ქართველ საზოგადოებაში აფხაზებისა და ოსების უფასოდ მკურნალობის საკითხის მიმართ მიდრეკილება არაა ერთგვარადაა. რა თქმა უნდა, საგარეო მხარის მხარდასა და უფასო მკურნალობის უნდა ჰქონდეს, მაგრამ რატომ უნდა სარგებლობდნენ აფხაზები და ოსები მკურნალობის ყველაზე უფრო ხარისხიან და უფასო მკურნალობა, როცა დანარჩენი მოსახლეობა საკმაოდ დიდ ფულს იხდის?**

ჟურნალისტი თენგიზ აბლოთია, რომელიც თვითონაც აფხაზეთიდანაა, წერს: „ჯანდაცვის პროგრამა უაღრესად პოლიტიკურია და მისი მიზანია არა აფხაზების და ოსებისთვის უზრუნველი ცხოვრება, არამედ მათი ლოიალობის

თუმცა პროგრამა არ შეჩერდება: საქართველოს მთავრობამ ზუგდიდის რაიონში, აფხაზეთის საზღვართან, 220-ადგილიანი თანამედროვე მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრის მშენებლობა დაიწყო, რომლის მომავალი პერსონალი უკვე სტაჟირებას გადის აშშ-ის, ისრაელისა და ევროპული ქვეყნების მოწინავე კლინიკებში. იქვე ახლოს იგეგმება სამხარისხო-ანონი სსსტპროს მშენებლობაც, სადაც აფხაზი (და ოსი) პაციენტების სულა-ლაზი იცხოვრებენ. პროექტის რეალიზება დაახლოებით 20 მილიონ დოლარს დასჭირდება.

**იური როქსი,**  
„ნებავისიმაია გაზეტა“

**ავსტრიაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სახის დაფარვა იკრძალება. BBC-ის ინფორმაციით, კანონი მოითხოვს, რომ საჯარო სივრცეში სახე შუბლიდან ნიკაბამდე ჩანდეს. რელიგიურად ნეიტრალური კანონის თანახმად, რომელიც ქვეყანაში დღეიდან ამოქმედდა, აკრძალვა სამედიცინო ნიღბებსა და კლოუნის მაკიაჟსაც ეხება. კანონდამრღვევებს ფულადი ჯარიმა, 150 ევროს ოდენობით დაეკისრებათ. აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავებს უფლება ექვლვათ, ქუჩაში გამგელეს თავსაბურავის ან ნიღბის მოხსნა მოსთხოვონ.**

**გერმანიაში პირველი გვი-ქორწილი უაღა**

პირველ ოქტომბერს გერმანიაში პირველი გვი ქორწილი გაიშორა. გერმანიის ტერიტორიაზე ერთნაირსქესიანთა ქორწინების უფლების შესახებ კანონი ძალაში შევიდა. პირველმა ამ შესაძლებლობით 59 წლის კარლ კრაილემ და 60 წლის ბოდო მენდემ ისარგებლეს. მათ საქორწინო ცერემონია ბერლინის რატუსში გაიმართეს.

**კატალონია რეგიონის დამოუკიდებლობას მისცა ხმა**

ოფიციალური მადრიდის ზენოლისა და მცდელობის მიუხედავად, კატალონიაში რეფერენდუმი მაინც ჩატარდა. ადგილობრივი მმართველობის განცხადებით, საყოველთაო გამოკითხვაში რეგიონის მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტმა მიიღო მონაწილეობა. საარჩევნო უბნები ადგილობრივი დროით 20 საათზე დაიხურა. ოფიციალური მონაცემები ჯერ გამოცხადებული არაა, თუმცა წინასწარი მონაცემებით, ელექტორატის 90-მა პროცენტმა მხარი რეგიონის დამოუკიდებლობას დაუჭირა. წინააღმდეგი მხოლოდ 7%-ი წავიდა. დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის დასრულების შემდეგ კატალონიის ლიდერმა საგანგებო ბრიფინგი გამართა და გამოაცხადა, რომ კატალონიელებმა სუვერენიტეტის უფლება მოიპოვეს.

**ლას-ვეგასში თაყვანისმცემი 64 წლის სტივენ პალოკი**

ამჟამად სამართალდამცველები თავდამსხმელის მეგობარ ქალს ეძებენ, რომელთანაც ერთად პედოკი სასტუმროში იყო გაჩერებული. თავდასხმა მენდელეი ბეის სასტუმრო კომპლექსსა და აეროპორტს შორის მდებარე მოედანზე კონცერტის

მსვლელობისას განხორციელდა, სადაც ათასობით ადამიანი იყო შეკრებილი. თავდამსხმელმა მკურნალებს ცეცხლი სასტუმროს 32-ე სართულის აივანიდან გაუხსნა. შედეგად, 50-მდე ადამიანი დაიღუპა, 200-ზე მეტი კი დაშავდა.

**პარიზში პირველი დღე უმანქანო იტალია**

ერთი დღე მანქანების გარეშე პარიზის მერიის ინიციატივით ქალაქის ქუჩები 24 საათით ავტომობილებისგან თითქმის მთლიანად გათავისუფლდა. აქცია პარიზის დამბინძურების წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ფარგლებში გაიმართა. წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ათასობით ადამიანმა დანიშნულების ადგილამდე ფეხით ან ველოსიპედით მივსლა გადაწყვიტა. დილის 9 საათიდან 18 საათამდე პარიზში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ავტომობილების, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ტაქსის გადაადგილება იყო ნებადართული. საფრანგეთის დედაქალაქის მერის ან იდალგოს ინიციატივით ეკოლოგიის დაცვის კამპანია პარიზში უკვე მესამე წელია, ტარდება.





# პინ უნიტარმაკლერებს სამეგრელოს მთავარ ქალაქს?

## გახსნის თუ არა ზუგდიდის საკრებულოს პირველ სხდომას გალელი დავუბათი?

ზუგდიდის ქალაქისა და რაიონის ისევ გაერთიანების შემდეგ ზუგდიდის მერობისთვის შვიდი კანდიდატი იბრძვის. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარი ბრძოლა „ქართული ოცნების“ კანდიდატ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელს ლაშა გოგიასა და „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ ლევან კონჯარას შორის უნდა წარმართულიყო, მაგრამ მათ სერიოზულ მეთოქეობას გაუწევს მერობის დამოუკიდებელი კანდიდატი, ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი დომენტი (ზვიად) სიჭინავა. ამ კანდიდატების უპირატესობა და გამოჩენილობა იმ დებატების საგანაც გამოიკვეთა, რომელიც თბილისსა და ზუგდიდში გაიმართა.

ლაშა გოგიას მთავარი „კოზირი“ ადმინისტრაციული რესურსია, ლევან კონჯარას კი ის სტაბილური ელექტორა-

ტი, რომელიც ამ მოძრაობას გააჩნია. ზვიად სიჭინავის მათგან ის განასხვავებს, რომ არის დამოუკიდებელი, უპარტიო, ამიტომაც ამომრჩეველთა საკმაო მხარდასაჭერად ზუგდიდში ჩამოვიდნენ ცნობილი ფეხბურთელები და მათ შორის იყვნენ, როდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „ქართული ოცნების“ აქტივისტები მურთაზ ხურცილავა და ალექსანდრე ჩივაძე. სავარაუდოდ, ზუგდიდში მოსალოდნელია მეორე ტური. გავრცელებული ვერსიით ერთმანეთის პირისპირ დადგებიან გოგია და სიჭინავა, რაც სიჭინავას უფრო მომგებიან პოზიციაზე აყენებს, რადგან მთელი ოპოზიციური სპექტრი მას დაუჭერს მხარს, ამიტომაც გოგია ყოველნაირად უნდა ეცადოს, რომ გამარჯვება პირველივე ტურში მოიპოვოს.



უნდა აღინიშნოს ერთი საგულისხმო ფაქტიც. „ქართულ ოცნებას“ ამჟამინდელ საკრებულოში არ ყავს დეპუტატი აფხაზეთიდან და არც მომავალ საკრებულოშიც იყო გათვალისწინებული აფხაზეთის წარმომადგენლის ყოლა, მაგრამ ბოლო მომენტში „ქართული ოცნების“ მესვეურებმა მიიღეს სწორი გადაწყვეტილება და პროპორციულ სიაში მე-8 ნომრად ჩაწერეს გალის რაიონის მკვიდრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ მარშავა, რომელსაც მის მიერ გაკეთებული საქმეების გამო ენდობიან და დიდ პა-

ტივს სცემენ ენგურს გალმა-გამოლმა, მათ შორის ეთნიკური აფხაზებიც. გამომდინარე იქიდან რომ ბატონი ოთარ მარშავა გახლავთ 62 წლის, როგორც უხუცეს დეპუტატს, შესაძლებელია მოუწიოს ზუგდიდის საკრებულოს პირველი სხდომის გახსნა.

რაც შეეხება წინა საარჩევნო პერიოდს, შეიძლება ითქვას რომ ნორმალური და მშვიდია. ასე რომ, 21 ოქტომბერს საინტერესო პაექრობა გველის ზუგდიდში.

ლალო ძირია, ჩვენი საკ. კორ. ზუგდიდი

### როგორ ვცხოვრობთ?

## შემოსავლის ნახევარი ოჯახის გამოკვებაზე ბუქსარჯება!

საბარტველოში ადამიანების უმეტესობას არა აქვს საშუალება აუცილებელი მოთხოვნილების გარდა, თანხა სხვა რამეზე დახარჯონ. მათი შემოსავლის ნახევარი ოჯახის გამოკვებაზე იხარჯება. ვითარება ინფლაციამ და ლარის გაუფასურებამ კიდევ უფრო დაამძიმა.

მსოფლიო ბანკის კვლევით საქართველო საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების რიგშია, თუმცა იგი მრავალი მახასიათებლით ბევრად ახლოსაა მასზე გაცილებით ღარიბ ქვეყნებთან. ასეთი კომპონენტია მოსახლეობის მთლიანი დანახარჯებში საკვების წილი, რომელიც ძალიან მალაღია.

„საქსტატის“ უკანასკნელი ანგარიშით, საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების 44% საკვების შეძენაზე იხარჯება. დასავლურ ქვეყნებში სურსათზე მთლიან ხარჯებში გაცილებით ნაკლები წილი მოდის. აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მონაცემებით, საკვების დანახარჯები მოსახლეობის მთლიანი დანახარჯების მხოლოდ 6.4%-ია.

მდიდარი ქვეყნების შემთხვევაში საკვების დანახარჯები ასე გამოიყურება: აშშ – 6.4% სინგაპური – 6.7%; დიდი ბრიტანეთი – 8.2%; შვეიცარია – 8.7%; კანადა – 9.1% ავსტრალია – 9.8%; ავსტრია – 9.9%.

საკვებზე დანახარჯების მაღალი წილია ყველაზე ღარიბ ქვეყნებში, მაგალითად, კამბოჯაში საკვებზე დანახარჯების წილი 45%-ია, კენიაში – 46%, ნიგერიაში კი – 56%. სხვა უფრო ღარიბი ქვეყნებისთვის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა, სავარაუდოდ, ის ხშირ შემთხვევაში აღემატება 50%-ს.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სტატისტიკის მიხედვით, საკვებზე დანახარჯების მაღალი წილი პირდაპირ კავშირშია სიღარიბესთან. აშშ-ის შემთხვევაში მოსახლეობის ყველაზე ღარიბი 20% სურსათზე ხარჯავს საკუთარი შემოსავლების 28%-ს.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში ამ მხრივ მეტად რთული მდგომარეობაა. ვითარება განსაკუთრებით დამძიმდა ბოლო წლებში, როდესაც ქვეყანას

ლარის გაუფასურების რამდენიმე ტალღამ გადაუარა. შესაბამისად, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა დაეცა, ინფლაცია კი გაიზარდა. ოჯახების უმეტესობა ვეღარ ახერხებს პირველადი მოხმარების საქონლის და სურსათის გარდა სხვა რამის ყიდვას!

„საქართველო იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა და ეს კომბინირებული გავლენას ახდენს შინამეურნეობების ხარჯის ზრდაზე. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ პროდუქციაზე ფასი ლარის მკვეთრი დევალაციის პროპორციულად არ გაზარდია.

შეიძლება ხელფასების დინამიკა გავაკეთოთ წლების მიხედვით, მაგრამ მათი მსყიდველუნარიანობა უნდა განვსაზღვროთ კონკრეტულ სასაქონლო ჯგუფთან მიმართებით. პირობითად, 2013 წელს რამდენი კილოგრამი ხორცის ან ბრინჯის შექმნა შეგვეძლოს, კარტოფილის, კარაქის და ა.შ. ეს უნდა შევადაროთ ახლანდელ წლებში შექმნა შეგვეძლოს და ამის მიხედვით უნდა მოხდეს გაანალიზება.

ჩვენ ვართ იმპორტდამოკიდებული ქვეყანა, საქონლის 70%-ზე მეტი უცხოეთიდან შემოდის. შესაბამისად, ლარის გაუფასურება დიდ პრობლემას ქმნის ამ მიმართულებით. შინამეურნეობების ხარჯიც მატულობს, რასაკვირველია უპირატესად პირველადი მომხმარების საქონლის მიმართულებით“, – აცხადებს სტატისტიკოსი სოსო ბარჩვაძე.

ფაქტია, რომ მოსახლეობის წლიდან წლამდე განკარგავადი შემოსავალი უმცირდება. როგორც ექსპერტი ლია ელიაშვილი ამბობს, ეს უკვე სახელმწიფოებრივ პრობლემად იქცა.

„მოსახლეობაში განკარგავადი შემოსავლის სიმცირე განაპირობებს სოციალურ პრობლემას, როცა ხალხს არ ჰყოფნის ფული ნორმალურ კვებაზე, დასვენებაზე, შთამომავლების უზრუნველსაყოფად და სხვა, რაც სახელმწიფოებრივ დონეზე არსებული პრობლემაა. მის გადასაჭრელად კი ნაბიჯს ვერ ვგეგმობთ არაფერს დგამს – არც ეროვნული ბანკი და არც მთავრობა“, – აღნიშნავს ელიაშვილი.

ბეძა დანელია



## 2013 წლიდან დღემდე საჯარო მოხელეების მხრიდან ნაშრომის მოხელეების მხრიდან ნაშრომის არც ერთი ფაქტი არ გვექონია, – ამის შესახებ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ წარმოდგენილი, ნაშრომისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში არსებული სიტუაციების მოკლედ ანალიზის კომენტარებისას განაცხადა.



„ჩვენ სისტემური ნაშრომის და არაადამიანური მოპყრობის ყველაზე საშიშველი პერიოდი დაგვილით და იმ პერიოდთან ამ ხუთი წლის განმავლობაში, რაც გავაკეთეთ, პირველ რიგში, იყო ის, რომ პატიმართა რაოდენობა შევამცირეთ. ასევე, სპეციალური კომისია შევექმნეთ, რომლითაც დავადგინეთ და პარლამენტმა სპეციალური შეფასება მისცა სისტემურ დანაშაულებს, რომელიც იყო საპატიმროებში. ახალ სტრუქტურაში, რომელიც შეიქმნა მთავარ პროკურატურაში რამდენიმე წლის წინათ, ორსაზე მეტი ეპიზოდი უკვე დასრულებულია. 190-ზე მეტი ყოფილი საჯარო მოხელე არის უკვე გასამართლებელი და დამნაშავედ ცნობილი სხვადასხვა დროს არაადამიანური მოპყრობის და ნაშრომის დანაშაულებზე. ჩვენ ნაშრომის არც ერთი ფაქტი არ გვექონია 2013 წლიდან დღემდე საჯარო მოხელეების მხრიდან დაკავებული პირების მიმართ, რაც შეეხება ცალკეულ შემთხვევებს, ამაზე არის ძალიან მკაცრი მონიტორინგი და დაკვირვება“, – თქვა ბესელიამ.

## კომისიამ ოთხ იურიდიულ პირს აპტირებია შეუჩიარა

საბარტველო კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადამწყვეტილებით შპს „თანამგზავრი XXI“-ს, შპს „ჯინ ენ ენ“-ს და შპს „ტვი 4000“-ს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია შეუჩიარდა.



„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უფლებამოსილია იურიდიულ პირს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია შეუჩიაროს თუ პირი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთობლივად:

- ა) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას;
- ბ) არ წარუდგენს კომისიის რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას;
- გ) არ იხდის რეგულირების საფასურს.

კომისიის უწყებრივი რეესტრის და კომისიაში თითოეული იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშების ფორმების თანახმად, ოთხივე კომპანია გასული ერთი წლის განმავლობაში არ ახორციელებდა ავტორიზებულ საქმიანობას, რაც დაედო საფუძვლად ავტორიზაციების შეჩერებას. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანიები საქმიანობის განახლების შემთხვევაში უფლებამოსილი არიან, ავტორიზაციის აღდგენის თაობაზე ხელახლა მიმართონ კომისიას.

ქიულო

ოქროს, ბრინჯაოს!

საბარტოველი ორმა წარმომადგენელმა იჭიდავა ზაგრებში, რომელმაც ქიულოს-ტოა გრან-პრის უმასპინძლა. ევროპის 2013 წლის ჩემპიონმა ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) ზედიზედ ოთხ მეტოქეს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. პირველ ნომრად განთესილმა ჩვენებურმა ჯერ იაპონელ დაი აოკის 2 წუთსა და 19 წამში აჯობა, მერე აზერბაიჯანელი მეჭმან სადიგოვი დაამარცხა 2 წუთსა და 18 წამში (მსაჯებმა აზერბაიჯანელი სახიფათო ვარდნის გამო მოხსნეს). ნახევარფინალში პაპინაშვილმა საქართველოს ნაკრების ყოფილ წევრს, ევროპის 2011 წლის მეორე პრიზიორ ბეთქილ შუკვანს (იგი თურქეთის ნაკრებში ბექირ ოზულუს სახელით გამოდის) ვაზარით მოუგო, გადაწყვეტ პაექრობაში კიდევ ერთი ქართველი - რუსეთის ნაკრების წევრი რობერტ მშვიდლობაძე დაჯაბნა იპონით და ოქროს მედალთან ერთად 700 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა. მსოფლიო კლასიფიკაციაში იგი მეორე ადგილზე გადაინაცვლებს. შეჯიბრების ბოლო დღეს ტაბატამზე ვარლამ ლიპარტელიანი (100 კგ) გავი-

და. ევროპის ქართველმა სამგზის ჩემპიონმა პირველ შესვედრაში იაპონელი დაიკი ნიშიამა ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ მეოთხედფინალი პორტუგალიელ ჟორჟე ფონსეკასთან დამატებით დროში დათმო. „ლიპომ“ დამამშვიდებელში ლატვიელი ეგვენის ბოროდაცო და აზერბაიჯანელი ელხან მამადოვი დაჯაბნა. საგულისხმოა, რომ ლიპარტელიანმა აზერბაიჯანელს ერთი თვის წინათ ბუდაპეშტში მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალშიც აჯობა. ზაგრების გრან-პრის დაკავებულმა მესამე ადგილმა ქართველ ქიუდოისტს სარეიტინგო 350 ქულა მოუტანა. ხორვატეთში სულ შეიძლება ქართველმა იჭიდავა, მათ შორის - ხუთმა სხვა ქვეყნის სახელით. ესენი არიან: ბექირ ოზულუ (ბეთქილ შუკვანი, თურქეთი, 60 კგ), რობერტ მშვიდლობაძე (რუსეთი, 60 კგ), ლუკა მხეიძე (საფრანგეთი, 60 კგ), ანრი ეგუტიძე (პორტუგალია, 81 კგ) და სანდრო მაქაყარიანი (გერმანია, 90 კგ). **ლემსო ცინცაძე**



როგზურთი

ფავორიტებს ვერ აჯობა

სუბაქპატიის დედაქალაქში გამართულ ჩოგბურთულ ქალთა WTA-ს ტურნირში (საპრიზო ფონდი 226.750 დოლარი) თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამ წყვილებში იაპონელ ნაო ჰინინოსთან ერთად მე-2 ადგილი დაიკავა. პირველ წრეში ქართულ-იაპონურმა დუეტმა ლიდია მაროზავას (ბელარუსი) და საბინა შარიპოვას (უზბეკეთი) მოუგო - 6:3, 6:2; მერე ანა ბოგდანო (რუმინეთი) და შტეფანი ფოგელი (შვეიცარია) ჩამოიშორა გზიდან - 6:1, 6:3. ნახევარფინალში კალაშნიკოვამ და ჰინინომ კატერინა ბონდარენკოსა (უკრაინა) და ალექსანდრა კრუნიჩს (სერბეთი) სამ სეტში სძლიეს - 6:4, 3:6, 12:10, გადამწყვეტი პაექრობა კი ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტებთან - ტიმეა ბაბოშსა (უნგრეთი) და ანდრეა პლავაკოვასთან (ჩეხეთი) საათსა და 18 წუთში 5:7, 4:6 დათმეს და მეორე ადგილს დასჯერდნენ. ბა-

ბოშმა წყვილებში ტაშკენტის ტურნირი მეორედ მოიგო - პირველად 2013 წელს იაროსლავა შვედოვასთან (ყაზახეთი) ერთად მოიპოვა მთავარი პრიზი. რაც შეეხება კალაშნიკოვას, ფინალში გასვლით მან 180 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა. **ლამა დილია**



ლეგიონარი

„უნიკასამ“ გამარჯვებით დაიწყო

მსაბუნძეობის საკალათბურთო ჩემპიონატი დაიწყო და გიორგი შერმადინის ახალმა გუნდმა „უნიკასამ“ სეზონი გამარჯვებით გახსნა. მალაგური კლუბი სტუმრად „მურსიას“ ეთამაშა და 10 ქულის სხვაობით - 74:64 იმარჯვა. ქართველი ცენტრი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 12 წუთში 2 ქულა, 6 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. გიორგიმ 3-დან 1 ორქულიანი ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 4 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 2-ჯერ დაჯარიმდნენ. ამერიკელმა ჯეიმს ოგასტინმა, რომელიც „უნიკასას“ სასტარტო ცენტრის პოზიციაზე გამოჩნდა, 20 წუთში 7 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა, საუკეთესო კი მისი თანამემამულე ჯეფ ბრუკსი (15 ქულა, 9 მოხსნა) იყო, რომელსაც ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა. ცნობისთვის: შერმადინი ერთადერთი ქართველი კალათბურთელია, რომელმაც ესპანეთის ჩემპიონატის საწყის ტურში მიიღო მონაწილეობა. აღნიშნულის მიზეზი თორნიკე შენგელიასა და ბექა ბურჯანაძის ტრავმებია. როგორც იცით, თოკოს მდგომარეობა მძიმე არაა და დაახლოებით ორ კვირაში მის მოედანზე დაბრუნებას უნდა ველოდოთ, ბურჯანაძეს კი ოპერაცია ელის და დაახლოებით 5-თვიანი იძულებითი უქმობა მოუწევს. შენგელიას არყოფნაში „ბასკონიაში“ „ბარსელონასთან“ გასვლითი მატჩი 82:87 წააგო, ბურჯანაძის „მორაბანკ ანდორას“ კი მადრიდში „რეალთან“ დაპირისპირება ელის. **ვიტალი ჯაფარიძე**



ჭადრაკი



წინა თვის შედეგების გათვალისწინებით ფიდემ მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა საოქტომბრო რეიტინგები გამოაქვეყნა. მამაკაცთა პირველ ასეულში მხოლოდ ბაადურ ჯობაჯა გყვას, რომელიც 2705 პუნქტით 41-ე ადგილზეა. პირველ-მეათე ადგილებს მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2826), 2017 წლის მსოფლიოს თასის მფლობელი ლევონ არონიანი (სომხეთი, 2801), მაქსიმ ვაშიე-ლაგრაჟი (საფრანგეთი, 2794), ფაბიანო კარუანა (აშშ, 2794), ვლადიმირ კრამნიკი

ბანახლეული რეიტიგით

(რუსეთი, 2794), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2791), ვესლი სო (აშშ, 2788), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2785), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2783) და ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2774) იყოფენ. ქალებს ჩინელი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2678) უდგას სათავეში. პირველ ათეულში შემდეგ მოდიან ფიდეს ბოლო გრან-პრის გამარჯვებული ცზიუ ვენძიუნი (2579), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2576), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2552), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2544), ვიქტორია ჩილიტე (ლიტვა, 2542), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2542), ლეი თინცუ (ჩინეთი, 2528), პარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2528) და თან ჩუნი (ჩინეთი, 2523). მსოფლიოს კლასიფიკაციაში ქართველ ქალთა მაჩვენებლები ასეთია: 11. ევროპის 2017 წლის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე (2520), 20. ნინო ბაციაშვილი (2472), 23. ბელა ხოტენაშვილი (2459), 33. ლელა ჯავახიშვილი (2438), 50. სალომე მელია (2412), 56. ნინო ხურციძე (2400), 80. მერი არაბიძე (2378), 84. სოფიკო გურამიშვილი (2374). **ვაჟა ნოსირელი**

აზოიცი

თხემით ტერფაქა კატალონიელი

კატალონიის „ბარსელონას“ სიმბოლო ჟერარ პიკე ესპანეთის ეროვნული გუნდის დეტოვებს არ გამოორიცხავს. 30 წლის მცველის თქმით, თუ ფეხბურთის ფედერაციის სელმძღვანელები მოისურვებენ, იგი სანაკრებო კარიერას დაასრულებს.



„მე ვარ კატალონიელი და ძალიან ვამაყობ ჩემი ხალხით, თუმცა, ესპანეთის ნაკრებში თამაშის გაგრძელებისთვის მზად ვარ, რადგან ჯერ კიდევ ბევრი ადამიანია ისეთი, რომელიც არ ემსრობა იმ ქმედებას, რაც ხდება და მხარს უჭერს დემოკრატიას. თუმცა, თუ ხელმძღვანელობა ჩემში პრობლემას ხედავს, მზად ვარ ესპანეთის ნაკრები დავტოვო მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატამდე“, - აღნიშნა თვალცრემლიანმა პიკემ. ჟერარ პიკეს ესპანეთის ნაკრებში დებიუტი 2009 წელს ჰქონდა და იქიდან მოყოლებული 91-ჯერ დაიცვა „ფურია როხას“ ღირსება (5 გოლი), გახდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი. აღსანიშნავია, რომ პიკეს 9 შესვედრა კატალონიის ნაკრებშიც აქვს ჩატარებული. აქვე გეტყვით, რომ კვირას გამართულ რეფერენდუმში მონაწილეობა პირველი ქალისგან დინჯი დიასახლისი მივიღეთ. გარწმუნებთ - ეს არასოდეს მოხდება! როგორც ჩანს, მშვიდი დასვენება ები კლენსისთანა გადარულ ადამიანებსაც შეუვარ და ბრიტანეთის ბულვარულმა მედიამ მხოლოდ ის დაადაგინა, რომ თითქმის მთელი გასული ზაფხულის განმავლობაში ები კლენსი ხან ქმართან ერთად, ხან კი სრულიად მარტო კუნძულ მალიორკაზე იყო მზის ქვეშ წამოდრანგული. წამოდრანგვა კი იცოცხლეთ - კარგი იცის!... **როსტომ რაჭველიშვილი**

ინტერნეტიდან

ები კლენსის ზაფხული



რახანნი არაფერი დაგვიწერია ვეტერანი ინგლისელი შემტევის, ინგლისის ნაკრების ყოფილ წევრ პიტერ კრაუჩის ეპატაჟურ ცოლზე, მოდელ ები კოლენსიზე, რომელიც, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ფრიალ მაზალო ვინმეა და ფერადი შურნალების ყდებზე გამოჭიმვა მისი ცხოვრების ნაწილია... ები კლენსის მივიწყების მიზეზი თავად ები იყო, რომელმაც ამ ბოლო დროს გვარიანად მოუკლო თავაშევებულ წვეულებებში მონაწილეობას, თუმცა, ისეც ნუ ჩავთვლით, რომ ები კლენსი „აზრზე მოვიდა“, წლები მოემატა და ამ გადა-

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემის სააგენტოს ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მადიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემის სააგენტოს ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მადიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა Licenziabi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის <p>ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.</p> <p>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორებაზე მდინარის მიმართულადა.</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და "წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მენიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოლაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მულხურას ქვიშა-ხრმის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 30 600 მ <sup>3</sup> ).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭოლაშის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი 4 658 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) 465,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი 2 529 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დასრულების და დასრულების დრო და თარიღი აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 5 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა 3 წელი
14	სხვა მონაცემები აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების ალბის საშუალება;	
ე) ლუქის დადგენას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს სამსოფო უფლებამოსილი პირი;	
ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმოთვლის მოწესრიგება.	
ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).	
თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.	
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. მათხოჯის მიმდებარე მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამწარმო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1500 მ <sup>3</sup> /წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. მათხოჯის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი 49 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) 4,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი 225 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დასრულების და დასრულების დრო და თარიღი აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 5 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა 25 წელი
14	სხვა მონაცემები აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

	მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	5 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარეგლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
<b>ობიექტი № 4</b>		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	<a href="mailto:Licenziabi2015@gmail.com">Licenziabi2015@gmail.com</a>
4	სარეგლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.</p> <p>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დაზიანოს მიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.</p> <p>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.</p> <p>ე) ექსპლუატაციის დროს შექმნილი პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს საშუალოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.</p> <p>ვ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.</p> <p>ზ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.</p> <p>თ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამწნელო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.</p> <p>ი) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ბურღვა-აფეთქებითი საშუალების ჩატარების გარეშე.</p> <p>კ) ლიცენზიის მფლობელმა არ უნდა შეზღუდოს შპს „მათიკომის“ საბაზო სადღურთან („ღერკი“) მისასვლელი საგზაო კომუნიკაციები.</p> <p>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცავს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.</p> <p>მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ეთნოგრაფიული ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს საშუალებები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.</p> <p>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხემაღლის მიმდებარე ტერიტორია, „ხემაღლის“ მარმარილოსმაგვარი კირქვის (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპირკეთებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 1300 მ <sup>3</sup> ).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხემაღლის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	396 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	39,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი	398 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის

	მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	5 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარეგლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
<b>ობიექტი № 5</b>		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ-ფოსტა	<a href="mailto:Licenziabi2015@gmail.com">Licenziabi2015@gmail.com</a>
4	სარეგლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიმუშოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;</p> <p>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადგებას;</p> <p>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განხორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუმას მისი ქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;</p> <p>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;</p> <p>ე) ლუქის დადგება და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;</p> <p>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმართულობის მოწესრიგება.</p> <p>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).</p> <p>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ინგირის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამწარმოო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპირკეთებელი წიაღისეულის მოცულობა - 1000 მ <sup>3</sup> /წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ინგირის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	32 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი	216 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 5 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 3 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარეგლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განხორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
<b>ობიექტი № 6</b>		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57















ანტიტრენი

„ჯადოსნური“ ნათურა

თანამედროვე, დინამიკურად განვითარებულ, უსწრაფესად ცვალებად, ათასწლეულ აჭრელულ სამყაროში ადამიანს, შედარებით მშვიდ გარემოშიც კი, შინაგანი ნერვული დაძაბულობა მაინც უნარჩუნდება, ბოლომდე არ უქარწყლდება, რაც ათასწლეული სტრესის მიზნით ხდება. მეცნიერები დიდი ხანია შინაგანი ნერვული დაძაბულობის განმუხტვის, სტრესებისგან გათავისუფლების გზების ძიებაში არიან და ათასწლეული სტრესის ეფექტურ დასაბრუნებელი მედიკამენტოზური მკურნალობიდან, ფიზიკური დატვირთვით, მედიტაციითა და კიდევ ვინ მოთვლის რო-

მელი და რამდენი მეთოდით დამთავრებული. ახლახან კი ამასთან დაკავშირებით ერთობ სენსაციური ცნობა გამოჩნდა: ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ რუსეთის ქალაქ ტამბოვის მართვის სისტემებისა და რადიოელექტრონიკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა... დეპრესიის სამკურნალო ხელსაწყო შექმნეს. გარეგნულად ის ჩვეულებრივ ნათურას ჰგავს, რომელსაც ოთახის განათება შეუძლია, თუმცა კი ეს სულაც არაა მისი მთავარი ფუნქცია. საქმე ისაა, რომ მისი გამოსხივება ადამი-

ანის ორგანიზმზე დადებითად მოქმედებს. ადამიანის თვალით ალქმული ნათურის ციმციმი ადამიანის თავის ტვინის იმ უბნების რიტმებს ანესრიგებს, რომლებიც შრომისუნარიანობასა და სიმშვიდეზე არიან პასუხისმგებელი, - აცხადებს ხელსაწყო ერთ-ერთი შემქმნელი ვლადისლავ კუნენინი. - ცნობილია, რომ ბევრი ადამიანი სტრესს გამოუძღვრება განიცდის, რაც მათ შრომისუნარიანობას აქვეითებს. ახალი ხელსაწყო ასეთებს მოდუნებაში დაეხმარება, თანაც ის მისახმარებლად მარტივია და საგანგებო უნარჩვევებს არ საჭიროებს. ქალაქის მასტიმულირებლად სულ ათი წუთია საჭირო, დანარჩენ დროს კი იგი ჩვეულებრივ რეჟიმში მუშაობს.

უნდა ითქვას, რომ „ჯადოსნურმა ლამპარმა“ გამოცდების პირველი ეტაპი წარმატებით განვლო, რა დროსაც მოხალისეები გარკვეულ დავალებებს ჩართული ნათურის პირობებში ასრულებდნენ, ნაწილსაც - უნათუროდ. ცდების შედეგები ერთმნიშვნელოვანია: პირველ შემთხვევაში შეცდომების რიცხოვნობა საგრძნობლად ნაკლები იყო.

ინოვაციური



სანთელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლები მწუნარები იუნყებთან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

იომ აბაშიძე

და სამხმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ამოიღებულა სხსლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა

შს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების შედეგად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექენა-შენახვა-ტარების ბრალდებით, 1971 წელს დაბადებული თ.შ. თბილისში, შინიძის ქუჩაზე დააკავეს.



სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას „ტე-ტე“-ს კონსტრუქციის არარეგისტრირებული პისტოლეტი და 7 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

სირიაში პანკისელი მუსლიმ კუშტანაშვილი დაიღუპა

სირიაში კიდევ ერთი პანკისელი დაიღუპა. არსებული ინფორმაციით, დაღუპულია სოფელ დუმასტურის მკვიდრი მუსლიმ კუშტანაშვილი, რომელიც საბრძოლო იერიშების დროს დაიღუპა.

კუშტანაშვილი 2 წლის წინათ, 16 წლის ასაკში დატოვა პანკისის ხეობა. მას შემდეგ ოჯახი ხელისუფლებისგან დახმარებასა და არასრულწლოვნის საქართველოში დაბრუნებას მოითხოვდა. ოჯახს ასევე ჰქონდა კითხვები, თუ როგორ გადაკვეთა საზღვარი სკოლის მოსწავლემ მშობლების ნებართვის გარეშე.

ლას ვეგასში სროლის დროს საქართველოს მოქალაქე დაშავდა

ლას ვეგასში სროლის დროს საქართველოს მოქალაქე დაშავდა. ამის შესახებ პირველ არხს ინფორმაცია ლას ვეგასში მცხოვრებმა შაკო ამაშუკელმა მიაწოდა.

„ჩემი ახლობელი ქართველი გოგონა სროლის დროს გაიქცა და ჭყლეტაში ფეხი იტყინა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. დეტალებს ვაზუსტებთ. სხვა ქართველები, როგორც ვიცი, კარგად არიან. ამ დრომდე პანიკა ქალაქში. შენობებიდან ხალხს არ უშვებენ“, - განუცხადა პირველ არხს შაკო ამაშუკელმა.



ნაძალადევი გზის კაპიტალური რეაბილიტაცია გრძელდება

ნაძალადევის რაიონში ზვარეთის ქუჩის კაპიტალური რეაბილიტაცია სრულდება. პროექტის ფარგლებში მოენყო ბორდიურები, ტროტუარები და გზის საფალ ნაწილზე, 2 000 კვმ ფართობზე დაიგო ორი ფენა ასფალტის საფარი. ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ნაძალადევის რაიონის გამგებელი ირაკლი ხელაძე გაეცნო.

გზის რეაბილიტაციის პროექტი ნაძალადევის რაიონის გამგეობის დაკვეთით მიმდინარეობს. ქუჩაზე საგზაო სამუშაოების დაწყებამდე, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდემ“ 300 მ სიგრძეზე წყალსადენის ცენტრალური ქსელი შეცვალა, შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობის წყალმომარაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ასევე, გამგეობის დაფინანსებით, ზვარეთის ქუჩის მეორე მხარეს გზის დამჭერი საყრდენი კედლის მშენებლობა მიმდინარეობს.



გაოფიზიკური აქტივობები ოქტომბერში მოსალოდნელია 3-6, 11, 12, 16, 17-20 და 23-31 რიცხვებში. ამ დღეებში საგარეუდოა ციკლონებისა და ქარიშხლების წარმოშობა, ყველა სახეობის ავარიულობის, სეისმოაქტივობისა და სოციუმში დაძაბულობის მომატება.

3 - თევზების თანავარსკვლავედში მთვარისა და ნებტუნის შეერთება. დიდია ავარიებისა და ტრავმების მიღების, ასევე ინფექციურ დაავადებათა შეყრის ალბათობა. შეიძლება შეგანუხონ შეშუპებებმა, ფეხებისა და ტერფების ტკივილმა, ტრომბოფლებიტის გამძაფრებამ. რეკომენდებულია სპორტიანი სასმელებისა და ყავის დალევისგან თავის შეკავება. ამასთან გირჩევთ, ღვიძლი არ გადატვირთოთ და მსუბუქი საჭმელი მიიღოთ. უმჯობესია უარი თქვათ ხანგრძლივ სეირნობაზე და ნუ გადაღლით ფეხებს.

5 - სავემთვარეობა ვერძის თანავარსკვლავედში. შესაძლებელია არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვალებადობა, გულისა და თავის ტკივილები, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, უძილობა. ურიგო არ იქნება, თუკი ხმაურიან თავყრილობებს, ასევე ზედმეტ ფიზიკურ და გონებრივ დატვირთვას მოერიდებით.

12 - კიბორჩხალას თანავარსკვლავედში მთვარის ბოლო მეოთხედი, მთვარის დაძაბული ასპექტები. საგარეუდოა ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, იმუნიტეტის შესუსტება, აქტივობის დაქვეითება, ორგანიზმში ყველა პროცესის შენელება. დიდია ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის დაავადებების, კუჭ-ნაწლავის სისტემის ავარიულობების, სარძევე ჯირკვლებთან დაკავშირებული პრობლემე-

ასტიური პროცესები ოქტომბერში



ბის წარმოშობის ალბათობა. 17 - ქალწულის თანავარსკვლავედში მთვარისა და მარსის შეერთება, მერკური მორიელის თანავარსკვლავედის პირველ გრადუსშია. გამორიცხული არ არის თავის ტკივილების, ნეკროზების წარმოშობა, უძილობა. რეკომენდებულია სტრესებისთვის, ზედმეტი ფიზიკური და ემოციური დატვირთვისთვის თავის არიდება. სასურველია რაციონიდან ცხარე, მარილიანი, ტკბილი საკვებისა და ალკოჰოლის ამოღება. 19 - ახალმთვარეობა სასწორის თანავარსკვლავედში. ახალმთვარეობა - ესაა

ორგანიზმის ყველაზე დიდი სულიერი და ფიზიკური სისუსტის დღე. სასურველია მისი მშვიდ გარემოში, სტრესებისა და ზედმეტი დატვირთვების გარეშე გატარება. 20 - მორიელის თანავარსკვლავედში მთვარის იუპიტერთან და მერკურთან შეერთება. შესაძლოა შარდმდენ სისტემასთან, კუჭქვეშა ჯირკვალთან, ღვიძლთან და საჭმლის მომწელებელ სისტემასთან დაკავშირებით პრობლემების წარმოშობა. ეცადეთ, გააკონტროლოთ თქვენი ემოციები. საკვებში ზომიერება დაცავით და ტკბილეს ნუ მიეძალებით.

24 - მშვილდოსნის თანავარსკვლავედში მთვარისა და სატურნის შეერთება. დიდია უბედურ შემთხვევათა შედეგად მოტეხილობების ალბათობა. ნუ გადაიღლებით, მოერიდეთ სიმძიმეების აწევას, ასევე გაციებას. კარგი იქნება დეტალს თუ დაიცავთ, უარს იტყვიოთ ცხიმიან საკვებსა და ალკოჰოლზე. მოერიდეთ ღვიძლის ზედმეტად დატვირთვას. 26 - თხის რქის თანავარსკვლავედში მთვარისა და პლუტონის შეერთება, მზისა და იუპიტერის შეერთება. დიდია ხერხემლის, სახსრებისა და კუნთების ტკივილის წარმოშობა, ოსტეოქონდროზის გამძაფრება, გამორიცხული არ არის კანისა და კბილების დაავადებები, საშარდე სისტემის გაცივება და ინფექციური დაავადებების შეყრის ალბათობა. თავი დაიცავით გაცივებისგან, ნუ გადატვირთავთ მუხლებსა და ხერხემალს. 28 - მერწყულის თანავარსკვლავედში მთვარის პირველი მეოთხედი. შესაძლოა ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, გულისწავლა, საერთო სისუსტე. ნუ გადატვირთავთ ნერვულ სისტემას, მოუფრთხილდით თვალებს, ნუ გადაიღლით ფეხებს, უარი თქვით ალკოჰოლის მიღებაზე. 31 - თევზების თანავარსკვლავედში მთვარისა და ნებტუნის შეერთება. დიდია ფსიქიკურ და ალერგიულ დაავადებათა გამძაფრების ალბათობა, ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემების წარმოშობა. ყურადღებით იყავით ქუჩაში და ტრანსპორტის მგზავრობისას ნუ იჩქარებთ, რათა თავიდან აირიდოთ ტრავმული დაზიანებები.

# გერმანიაში მოღვაწე ნეიროქირურგი ასლან გერმანიშვილი უფასო კონსულტაციებს გააპრობავს

გერმანიაში მოღვაწე ნეიროქირურგი, გერმანიის ცვიქაუს პარაცელსუსის კლინიკის ნეიროქირურგიული განყოფილების უფროსი ნეიროქირურგი, ფუნქციონალური ნეიროქირურგიისა და ნეიროლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი ასლან გერმანიშვილი ნეიროქირურგიული პრობლემების მქონე 21 წლამდე პაციენტებისთვის უფასო კონსულტაციებს ჩაატარებს. მისივე ხელმძღვანელობით ჩატარდება ქირურგიული ოპერაციები.



3 ოქტომბერი - მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო; 9 ოქტომბერი - ევექსის დი-აგნოსტიკური ცენტრი. სამედიცინო აქციით სარგებლობისთვის საჭიროა წინასწარ ჩანერა ნომერზე: 255 05 05 ან \*0505

# მეტროსადგური „ვაჟა-ფშაველა“ მგზავრებს დროებით ვერ მოემსახურება პირ მოემსახურება

მეტროსადგურ „სახელმწიფო უნივერსიტეტი“ დაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებით, მეტროსადგური „ვაჟა-ფშაველა“ მგზავრებს დროებით ვერ მოემსახურება. ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის სატრანსპორტო კომპანია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, მეტროსადგურ „სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მიმდინარე სამუშაოების ბოლო ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებით, სადგური „ვაჟა-ფშაველა“ მგზავრებს რამდენიმე დღით ვერ მოემსახურება.

„მეტროს ახალი სადგურის „სახელმწიფო უნივერსიტეტის“ პირველი ეტაპის სამუშაოები, რომელიც, თავის მხრივ, ახალი და ძველი სისტემების სამონტაჟო-საინჟინრო პროცესების განხორციელებას გულისხმობდა, წარმატებით დასრულდა, შესაბამისად, იწყება მოსამზადებელი სამუშაოები იმისათვის, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ მეტროსადგური ექსპლუატაციაში მიიღოს. ახალი სადგური რამდენიმე დღეში ამოქმედდება.

საბურთალოს საზღვრებში მატარებლები კვლავ „სადგურის მოედნიდან“ „დედისამდე“ იმოძრავენ, გადაადგილების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით კი თბილისის მერია მგზავრებს მომდევნო დღეებშიც სპეციალურად დანიშნული ავტობუსებით მოემსახურება, რომლებიც მეტროსადგური „დედისამდე“ ვაჟა-ფშაველას გამზირის გავლით, სანდრო ეულის ქუჩის მიმართულებით იმოძრავენ.

თბილისის სატრანსპორტო კომპანია ზოდის გისდით შექმნილი დისკომფორტისათვის, - ნათქვამია კომპანიის ინფორმაციაში.

# განსაცინებელი ა(მ)ბები

**მანიუ და დემოკრატია**  
რესტორანი ჰამბურგში. გვიანი სტუმარი დიდხანს ათვალისებურად მენიუს და ბოლოს მიმართავს კლენერს:  
- იცით, რას მაგონებს თქვენი მენიუ?  
- რას, ბატონო?  
- ჩვენს დასავლურ დემოკრატიულ უფლებებს.  
- რატომ?  
- რატომ და, თქვენ თავად დახედეთ, ყველაფერი წაშლილია.  
**ფსიქონალიზი**  
ნიუ-იორკში ექიმ-ფსიქიატრთან დედას თავისი ათი წლის ბიჭი მიჰყავს.  
- მიშველეთ რამე პატივცემულო, - თვალცრემლიანი ეუბნება დედა ექიმს, - მთელი დღე მართო პისტოლეტებზე, შავ ნიღბებზე, ტყვიამფრქვევებზე და მკვლე-

ლობებზე ბოდავს. ექიმი სინჯავს ბიჭს და ნაბილებს უწერს.  
- თუ შეიძლება, ერთ თვეში ისევ მომიყვანეთ. რაც შეგეხებათ პირადად თქვენ, რახან ასე მწვავედ განიცდით შვილის ამბავს, დამამშვიდებლებს დაგინერთ და მუდმივად სვით.  
როგორც მოილაპარაკეს, ერთ თვეში დედას ისევ მიჰყავს თავისი ბიჭი ექიმთან.  
- აბა, რას მეტყვი, როგორ გრძნობს თავს თქვენი ბიჭი?  
- სულაც არ მენალვლება, როგორც უნდა, ისე იგრძნოს თავი, - უპასუხებს დედა.

**ჯარიმა**  
ნიუ-იორკში პოლისმენმა ჯიბის ქურდს დანაშაულზე წაასწრო. მოსამართლემ ქურდბაცაცას 50-დოლარიანი ჯარიმა მიუსაჯა.  
- სამწუხაროდ, მაგდენს ვერ

# რას არ გაიზავ!

# ბინის რეკონსტრუქციის ხარი...

ბინის რეკონსტრუქციის ქალაქ ფორტ-უერტიში გიგანტური ზომის რქების მქონე ხარი 165 ათას დოლარად გაიყიდა.

მისი რქების სიგრძე 25,65 მეტრია და გინესის რეკორდების ნიგნშია შეტანილი. ადგილობრივმა ფერმა რიჩარდ ფილიფსმა, რომელმაც შეიძინა შინაური ცხოველი, აღიარა, რომ მზად იყო მასში მილიონიც კი გადაეხადა.



ფერმერს იგი გენეტიკის გასაუმჯობესებლად სჭირდება. როგორც აღმოჩნდა, მის ფერმაში კიდევ რამდენიმე გრძელქიანი ხარი ბინადრობს.

ყოფილმა მეპატრონემ რიჩარდი გააფრთხილა, რომ რეკონსტრუქციის ხარი საკმაოდ ჯიუტია და მრჩოლელი, ჯიუტი ხასიათი აქვს.

# აშშ-ის ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტის როლს ლეონარდო დიკაპრიო ითამაშებს



პოპულარული ოსკაროსანი მსახიობი ლეონარდო დიკაპრიო მარტინ სკორსეზეს ახალ ფილმში „რუზველტი“ მთავარ როლს ითამაშებს.

ფილმი ამერიკის 26-ე პრეზიდენტს თეოდორ რუზველტს მიეძღვნება. იგი 25-ე პრეზიდენტი უილიამ მაკკინლი მოკლეს. 4 წელიწადში კი რუზველტმა უკვე ნობელის პრემია მიიღო მშვიდობის დარგში.

ამერიკის ერთ-ერთ სიმბოლოზე, მთა რომშიორზე რუზველტი ჯორჯ ვაშინგტონთან, თომას ჯეფერსონთან და აბრაამ ლინკოლნთან ერთადაა გამოსახული.

ფილმის გამოსვლის თარიღი ვერ უცნობია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რეჟისორს, მთავარი როლის შემსრულებელს და რუზველტის პიროვნებას, იგი უდავოდ ძალიან საინტერესო გამოგვა.

თარგმან რუსულად მოგვლიან.

**საქართველოს რესპუბლიკა**  
**SAKARTVELOS REPUBLIKA**  
სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი  
სპარტაკ ძოგულია  
293-13-34  
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
გურამ გომიანიძე  
599 53-76-16;

ალეკო  
ასლანიშვილი  
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
მამუკა ვაშაკიძე  
514 33-33-24

გამომცემლობა:  
შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
ტ: 599 79-76-79  
შპს „ახალი საუკუნე“  
იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორ პრესში“  
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22)  
ს-323  
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!  
რედაქციის მიერ შეუქმნა მასალაში დაიბეჭდა ავტორთა ხარჯით.  
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, გულად არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ვაშაკიძის სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

**„საქართველოს რესპუბლიკა“ უნი ბაზეთი, აუსილუბლად წაიკითხე!**

<p><b>საქართველოს რესპუბლიკის პოსტის კარგი:</b>          აშშ ფოსტა - 2.4767; კირი - 2.9252;          ბრიტანული პოსტის სტარტისტი - 3.3158;          100 რუბლი - 4.2843; თურქული ლირა - 0.6961;          აზერბაიჯანული მანათი - 1.4593;          1000 სომხური დრამი - 5.1868.</p>	<p><b>აივნი 3 ოქტომბრისთვის</b>          აღმოსავლეთი საქართველო:          ბაზი - ღამე +8, დღე +15          შიდა რეგიონები - ღამე +3, დღე +12          დასავლეთი საქართველო:          ბაზი - ღამე +10, დღე +17          შიდა რეგიონები - ღამე +4, დღე +13          თბილისი: ღამე +12, დღე +15</p>	<p><b>დაავიკავით, მოგაწავით:</b>          ტელ: 293-13-34,          599-79-76-79          ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru          და sakresp@top.ge</p>
---	--	--